ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 29 აგვისტო, 2019 №204 (8158) ფასი: 60 თეთრი

3 წლის ბავშვზე თავდასხმის ბრალდებით 51 წლის მხატვარი თამარ საძაგლიშვილი დააკავეს

ის მარეხ გოძიაშვილის ოჯახის წევრია

გვ.5

გვარამიას არხი მაუწყებლობას იბერიის შენობიდან 9 სექტემბერს დაიწყებს

მთავარ საინფორმაციო გამოშვებას დიანა ჯოჯუა და პაატა იაკობაშვილი წაიყვანენ

ვახო ხუზმიაშვილი: „თქვენს ადგილებზე თუ რუსთავი 2-ში მისვლა არ შეიძლება, ჩვენი ადგილების დაკავება მოსულა?“

გვ.2

თამარ ურუშაძე: „აღარც მორალი არსებობს, აღარც ზნეობა, აღარც კოლეგიალობა?!“

ძალიან გულსატკენია, მაშინ, როცა ჩვენი ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია, იბერიის შენობაში ასე შესვლა და იქიდან მაუწყებლობის დაწყების დაანონსება.

კორნელი კაკაჩია: „20 სექტემბრიდან მძლავრი საპროტესტო აქციები დაიწყება“

გვ.3

რომან გოცირიძე: „ივანიშვილი საკუთარი გუნდის წევრებსაც არ ინდობს“

გვ.3

„ეს ხელისუფლება ამ შემოდგომაზე წავა“

სამართალი

გვ.5

ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობისთვის ვადიმ სოკოლოვი დააკავეს

„ლაურა ღაჭავას ნათესავები და მეგობრები ქონების ჩადებას სთავაზობენ“



გარდაბანში 21 წლის კასუმ ოსმანოვს ეძებენ

ISSN 1987-9385

4 სერგი კაპანაძე: „ივანიშვილი ხაზარაძეში კონკურენტს ხედავს“

5 თბილისში 5-მა შეიარაღებულმა ნიღბიანმა ამაღლების ქუჩაზე ოჯახი დააყაჩაღა

4 აშშ საქართველოში პოზიციებს იძლიერებს

6 ბრიტანეთის მთავრობამ დედოფალს პარლამენტის მუშაობის შეჩერება სთხოვა

გვარამიას არხი მაუწყებლობას იბერიის შენობიდან 9 სექტემბერს დაიწყებს

მთავარ საინფორმაციო გამოშვებას დიანა ჯოჯუა და პაატა იაკობაშვილი წაიყვანენ

მთავარი არხი მაუწყებლობას 9 სექტემბრიდან დაიწყებს.

ინფორმაცია ნიუპოსტს ახლად დაფუძნებული არხის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ დაუდასტურა.

არხი დროებით ტელეკომპანია იბერიის შენობიდან გავა ეთერში.

– იბერიის ტექნიკა იქნება. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ბატონი ზაზა ოქუაშვილი პარტნიორობაზე აუცილებლად წამოვა და ამ ტექნიკით შემოვა ჩვენს კომპანიაში. ამ ეთერის დათმობითაც ძალიან დიდ საქმეს აკეთებს, ჩემი აზრით და, თუ იმასაც გადაწყვეტს და შევთანხმდებით ბოლო-ბოლო, ჩემი აზრით, ამით ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებაში, – თქვა გვარამიამ ნიუპოსტთან საუბრისას.

მისივე განცხადებით, ახალ არხზე რჩება კურიერის, პოსტსკრიპტუმისა და კომედი შოუს მთავარი გუნდი.

მთავარ საინფორმაციო გამოშვებას დიანა ჯოჯუა და პაატა იაკობაშვილი წაიყვანენ. საინფორმაციო გამოშვებას მთავარი ამბები ერქმევა.

გიორგი გაბუნია ახალ პოსტსკრიპტუმს წაიყვანს, თუმცა სახელზე ჯერ სრული თანხმობა არ არსებობს. გვარამია ამბობს, რომ გადაცემას „კვირის მთავარი“ უნდა ერქვას, რასაც გაბუნია არ ეთანხმება.

არხზე განახლებული ფორმატის გადაცემას წაიყვანს ნანუკა ჟორჟოლიანი. ახალი არხის ეთერში ვიხილავთ ნიკა გვარამიასა და ეკა კვესიტაძის გადაცემას.

მუსიკალური მეგაშოუ „მხოლოდ ქართული“, რომელიც ნიკა გვარამიას საკუთრებაა, ამჯერად მთავარ არხზე გავა.

მთავარი არხის თანამშრომლების შესახებ ნიკა გვარამიამ ასეთი რამ თქვა:

– ვინც ვიცი, რომ უნდა იყვნენ, ისინი არიან, დანარჩენებზე ვერ გეტყვით.

მისი თქმითვე, „აუცილებლად უნდათ, რომ არხზე ახალი სახეებიც გამოჩნდნენ“.

27 აგვისტოს ნიკა გვარამიამ ფეისბუქში დაწერა, რომ რუსთავი 2-ის ხელმძღვანელობა არხიდან წასულ ჟურნალისტებს უკან დაბრუნების შემთხვევაში ორმაგ და სამმაგ ხელფასებს სთავაზობს.

„გამოიცანით, ვისი სტილია?

ხო მართლა, ამ სტილის გაგრძელებაც ხომ ნანახი გვაქვს: დახურული ტვ9, ჯიდიესი, გადაყრილი თანამშრომლები, გაფარჩაკებული ცნობილი სახეები.

ვისაც გჯერათ, რომ გაკოტრებული რ2 ჩვეულებრივ კი არა, სამმაგ ხელფასებს გადაგიხდით, თქვენი ნებაა. სინამდვილეში, მშვენიერი ფილტრია: ერთდროულად ავლენს გონებრივ შესაძლებლობებს და მორალური დეგრადაციის დონეს (ივანიშვილის ტვ-ზე მუშაობას სხვას ვერ დავარქმევ).

მოკლედ, წამსვლელი წავიდეს. ჩემთვის მთავარი დამრჩენია“, – დაწერა ნიკა გვარამიამ ფეისბუქში.

ვახო ხუზმიაშვილი: „თქვენს ადგილებზე თუ რუსთავი 2-ში მისვლა არ შეიძლება, ჩვენი ადგილების დაკავება მოსულა?“

თამარ ურუშაძე: „აღარც მორალი არსებობს, აღარც ზნეობა, აღარც კოლეგიალობა?!“

მთავარი არხის იბერიის შენობაში გადასვლას იბერიის საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსი ვახო ხუზმიაშვილი ფეისბუქში გამოეხმაურა.

– იმ ეზოსთან, საიდანაც დღეს ლაივებს გვთავაზობენ, ბევრი ისტორია მაკავშირებს, ჯერ კიდევ 2004 წლის 19 თებერვალს, როცა სპეცდანიშნულების რაზმი შემოვარდა, იბერია დაარბიეს და ავტომატიანი სპეცრაზმელების წინ მიკროფონით ხელში ვიდექი. ამის მერე მეორე ისტორია დაიწყო, როდესაც სექტემბერში, როცა პირადად მეგონა, რომ სიტყვის თავისუფლებას ვიცავდი, აღმოჩნდა, რომ ოქუაშვილს სინამდვილეში თავისუფალი სიტყვა კი არა, მილიონები აინტერესებდა.

თითქმის ერთი წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში, როგორც ჟურნალისტისთვის, ყველა კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა. იმის მაგივრად, რომ მე და ჩემს კოლეგებს, რომლებიც იბერიაში ვმუშაობდით, კოლეგების მხრიდან სოლიდარობა მიგვეღო, დღეს ჩვენს ადგილებზე, ჩვენს სამუშაო მაგიდებთან, ჩვენს მოკრძალებულ ნიუსრუმში და სტუდიებში დასხდნენ.

ძალიან გულსატკენია, მაშინ, როცა ჩვენი ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია, იბერიის შენობაში ასე შესვლა და იქიდან მაუწყებლობის დაწყების დაანონსება. თქვენს ადგილებზე თუ რუსთავი 2-ში მისვლა არ შეიძლება, ჩვენი ადგილების დაკავება მოსულა? – დაწერა ვახო ხუზმიაშვილმა.

მსგავსი აზრი გამოთქვა ასევე ფეისბუქის მეშვეობით იბერიის ყოფილმა ჟურნალისტმა თამარ ურუშაძემ.

– თითქმის ერთი წელი გადის, რაც იბერიის, ჩუბინაშვილის 41 ნომრის, კარი დაგვიხურეს. მოგვიჯახუნეს ყოველგვარი ახსნა-განმარტების, ბოდიშის, წინასწარი გაფრთხილების გარეშე. მოგვიხურეს ისე, რომ ამ დღის მერე ათობით ჟურნალისტს დირექტორი რკინის გისოსებიანი ღობის მეორე მხრიდან გველაპარაკებოდა და შენობაშიც არ გვიშვებდნენ. არხი დახურეს. ტელევიზია გააჩერეს. ჟურნალისტები, ოპერატორები, მემონტაჟეები, პროდიუსერები, ტექნიკური თუ შემოქმედებითი ჯგუფის წევრები პირდაპირი გაგებით ქუჩაში გამოყარეს.

მას შემდეგ გუნდის უდიდესი ნაწილი ისევ სამსახურს ეძებს. იყო სასამართლოები, მოგებული გადაწყვეტილების გასაჩივრებები შემდგომ ინსტანციაში.

წარმატებები ყველა კოლეგას, მაგრამ იყო და არა იყო რა? ნატო ჩხეიძე, იქნებ გაგვცეთ პასუხი, იმ ასობით ადამიანს, ვისაც ასე მოექეცით. აღარაფერს აღარ აქვს ფასი?! აღარც მორალი არსებობს, აღარც ზნეობა? აღარც კოლეგიალობა? მხოლოდ ერთი მხარე და ერთი სიმართლეა? – დაწერა თამარ ურუშაძემ.

ცხინვალმა ზნაურის რაიონში ჯავშანტექნიკით რეიდი ჩაატარა

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა ზნაურის რაიონში ჯავშანტექნიკით რეიდი ჩაატარა. ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონის ე.წ. კაგებე ავრცელებს.

– სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეებმა საზღვრისპირა ზოლზე ჯავშანტექნიკით რეიდი ჩაატარეს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ასევე საზღვარზე შესაძლო პროვოკაციული ინციდენტების ლოკალიზაციას გულისხმობს.

რეიდი დასახლებულ პუნქტ წნელისთან და გვირგვინასთან ჩატარდა. ადგილზე სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეების ქმედებებს კოორდინაციას უწევდნენ პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი და სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის („კაგებე“) თავმჯდომარე ოლეგ შირანი, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

საოკუპაციო რეჟიმი „საზღვართან პროვოკაციული ქმედებების შეწყვეტის მოთხოვნას“ ერგნეთში შეხვედრაზე დააყენებს.

„გავრილოვის თემაზე „ოცნებამ“ პასუხი უკვე აგო“

გია ვოლსკის შეფასება და პროგნოზი

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ გია ვოლსკის განცხადებით, გავრილოვის თემამ ჩაიარა და ვერანაირი გავლენა ვერ იქონია ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკაზე.

ვოლსკის თქმით, აღნიშნულ მოვლენების გამო კონკრეტულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა პოლიტიკური ფასიც გადაიხადა.

ვოლსკიმ აღნიშნული განცხადება 20 ივნისს პარლამენტის სასახლის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დადგენილების პროექტებზე საუბრისას გააკეთა.

– ყველა აღიარებს, რომ ეს იყო შეცდომა, არასწორი საქციელი და საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო „ქართულმა ოცნებამ“, პარლამენტის თავმჯდომარე გადადგა. გავრილოვის თემამ ჩაიარა და ვერანაირი გავლენა ვერ იქონია ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკაზე, ფასიც გადაიხადა კონკრეტულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა.

ამ თემით გადაფარვა იმ დანაშაულისა, რასაც ჩადიოდნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ, არის იმის მცდელობა, რომ ეს განუკითხაობა კიდევ შეინარჩუნონ და რევოლუციური სცენარი კიდევ ერთხელ გაიმეორონ, როცა ამისი ძალა კიდევ ექნებათ. რაც არა მგონია, მაგრამ ფაქტია, რომ შემოთავაზებული რეზოლუციების შინაარსი სწორედ ამას ემსახურება, რომ დღის წესრიგში შეინარჩუნონ რევოლუციური სცენარი.

საბნუხაროა, რომ პარლამენტარების ნაწილი ამას ხელს უწყობდა და მათი ქმედებები საკმაოდ საეჭვოა, თუმცა შეიძლება, კრიმინალი არ იყოს იმაში, რომ პარლამენტარი პარლამენტში იმყოფებოდა, მაგრამ ძალიან საეჭვო ქმედებების ჩამდენ ადამიანებს პრეტენზია აქვთ, შეაფასონ ის, რასაც 20-21 ივნისის მოვლენები ჰქვია, – განაცხადა ვოლსკიმ.

პარლამენტში სექტემბრის ბოლომდე 20 ივნისს პარლამენტის სასახლის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დადგენილების 3 პროექტის განხილვა უნდა მოხდეს.

ერთი მათგანი უმრავლესობის, მეორე ენმ-ის, ხოლო მესამე – „ევროპული საქართველოს“ მიერაა მომზადებული.

ნიუპოსტი

ვახო სანაია მესამედ დაქორწინდა

მისი მეუღლე სტომატოლოგი თამარ ყურაშვილია

ჟურნალისტი ვახო სანაია პირად ცხოვრებაზე პრესასთან არასდროს საუბრობს, თუმცა მის ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეები მედიის ყურადღების ცენტრში მაინც ხვდება.

რამდენიმე კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ ვახო სანაიამ მესამედ იქორწინა.

ტელეწამყვანის რჩეული სტომატოლოგი თამარ ყურაშვილია. წყვილი სოციალურ ქსელში ერთობლივ ფოტოებს აქვეყნებს.

ვახო სანაიას პირველი ქორწინებიდან ორი გოგონა ჰყავს, მეორე ქორწინებიდან კი – ერთი.

ამბები

ახალი ამბები
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რომან გოცირიძე: „ივანიშვილი საკუთარი გუნდის წევრებსაც არ ინდობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

„ეს ხელისუფლება ამ შემოდგომაზე წავა“

– ბატონო რომან, „ოცნება“ აძლიერებს რეპრესიულ ქმედებებს. რა ჩაიფიქრა ბიძინა ივანიშვილმა?

– ის რეპრესიები, რომლებიც ხელისუფლებამ ბოლო 2 თვის განმავლობაში განახორციელა, თავისუფლად ეყოფა საკვებად 2 კარგ მსუქან დიქტატორს რამდენიმე წლის განმავლობაში.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, რაც მოხდა 20 ივნისის შემდეგ – ნიკა მელიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მისთვის შინაპატიმრობის მისჯა, რუსთავი 2-ის დახურვა, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ საქმის აღძვრა და ქვეყნიდან გაუსვლელობის გადაწყვეტილების მიღება, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძისათვის ანგარიშების გაყინვა, ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრება, ანაკლიის პროექტის ფაქტობრივი დასამარება, ასევე – ტვ პირველის საკითხი.

– ტვ პირველს რატომ ერჩიან?

– მათი მიზანია ამ ტელევიზიის დამფუძნებლებზე ზეწოლა და საბოლოოდ ამ ტელევიზიის ან გაჩერება, ან მისი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა.

– რა გზას დაადგა ივანიშვილი, რა არის მისი მიზანი?

– ივანიშვილი, ფაქტობრივად, გადასულია წინასაარჩევნოდ ტოტალურ რეპრესიებზე. ის ფიქრობს, რომ რადგან გასდის, ასე გააგრძელებს. ქუჩაში არავინ გამოდის, ტელევიზიები გაჩუმებულია, უცხოეთიდან თითს კი მიქნევენო, მაგრამ თითი ვისთვის არ დაუქნევიათ.

ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ ყოველთვის, როდესაც რაღაც ზღვარს გადადის ქვეყნის ავტორიტარი მმართველი, როდესაც ის კარგავს რეალობის შეგრძნებას, როდესაც ძალადობრივი გზით სურს ძალაუფლების შენარჩუნება, ერთ მშვენიერ დღეს ხალხი იფეთქებს.

ყველას კარგად გვახსოვს თვალცრემლიანი ივანიშვილის განცხადება, ოღონდაც ახლა ჩემი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი გაიყვანეთ და მერე ნახავთ, 1 წელიწადში როგორ ღამაზ ცხოვრებას მოგიწყობთო. მთავრდება ის 1 წელიწადი, 2-3 თვე დარჩა იმ ვადამდე, ქვეყანაში სიტუაცია რომ უნდა გაუმჯობესებულიყო და, კი არ გაუმჯობესდა, გაუარესდა.

გარდა იმისა, რომ მან რეპრესიები მოუწყო პოლიტიკურ ოპოზიციას, ასევე მედიას და ამ ქვეყანაში პოლიტიკური დევნის ობიექტი გახდა მრავალი ადამიანი, ოდნავი განსხვავებული აზრის გამოთქმის გამო დასაჯა საკუთარი გუნდის წევრებიც.

– ანუ არავის ინდობს, ვინც მის წინააღმდეგ მიდის?

– არავის, არც საკუთარი გუნდის წევრებს. ჩვენ ვნახეთ, როგორ გაყარა უმრავლესობიდან დეპუტატები. ეს პროცესი კვლავაც გრძელდება და ბოლო დღეებია, მიადგა ბიძინა გეგიძესაც, რომლის მიმართაც პრეტენზიები აქვს, რომ თურმე ის 2014 წელს მუშაობდა საქართველოს ფოსტაში და იმდროინდელ საკითხებზე ედავებიან. თუ 2014-ში მასზე ეჭვები ჰქონდათ, 2016-ში როგორ მოხვდა „ქართული ოცნების“ სიაში?!

– მაშინ რა ხდება?

– ეს ყველაფერი თითიდან არის გამოწოვილი და ნებისმიერ ადამიანს ყოველთვის მოუძებნიან რეალურ ან გამოგონილ ცოდვას.

ივანიშვილის პრინციპი არის ასეთი – საკუთარი მომხრე, როგორი დამნაშავეც უნდა იყოს, არის სასარგებლო იდიოტი, ხოლო ვინც მისი წინააღმდეგია, ის არის მტერი.

თუ შენ ხელისუფლების მომხრე ხარ, შეგიძლია, ასობით მილიონი მოიპარო ბიუჯეტიდან, შენ გერგება ყველაზე მსუყე ლუკმა სახელმწიფო ტენდერებიდან, ამავე დროს, ყველა ბიზნესში კარი ღია გექნება, მათ შორის გექნება

საგადასახადო შეღავათები, გადასახადების არგადახდაც კი გეპატიება.

– ამასაც პატიობენ საკუთარ მომხრეებს?

– სწორედ რომ ასეა. ის, რაც ახლა მოხდა იმავე რუსთავი 2-თან დაკავშირებით, წარმოუდგენელია, რომ ოდნავი პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლებს ჩაედინა.

რუსთავი 2 გადასახადებს არ იხდიდა იმის გამო, რომ ანგარიშები დაყადაღებული ჰქონდა, ქონება დაყადაღებული ჰქონდა, ამიტომ მას სახელმწიფოს ზეწოლის შედეგად წარმოექმნა პრობლემა. ამ ფონზე სრულიად გაუგონარია, კომპანიამ განაცხადოს, მხედველობაში მაქვს იმედის ჰოლდინგი, რომ მან არ გადაიხადა 26 მილიონი ლარი იმის გამო, რომ კონკურენტი რუსთავი 2 არ იხდიდა.

ეს არის აბსურდი! ან საიდან იცოდა მაშინ, რომ რუსთავი 2 არ იხდიდა?!

მის ამ განცხადებას კი ძალიან მშვიდად იღებს ხელისუფლება. თუ ასეა, მაშინ რატომ უნდა გადაიხადოს გადასახადი ტელეკომპანია კავკასიამ ან ტვ პირველმა?! ეს ხომ ბიზნესია, ეს ხომ კონკურენციაა! ბაზარზე ყველა ერთმანეთის კონკურენტია – თუ სხვა ბიზნესი იხდის, რატომ არ იხდის ეს?!

– იმიტომ, რომ ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება?

– ზუსტად ასეა. ქვეყანაში მეფობს კორუფცია, განუკითხაობა და, ფაქტობრივად, არ არსებობს არავითარი შანსი რამე ეკონომიკური წინსვლისა.

– ამდენ პრობლემაზე საუბრობთ და ამ ფონზე რატომ არის ჩუმად ოპოზიცია?

– ოპოზიციას აქვს დღის წესრიგი და ნამდვილად არ ვაპირებთ, ხელებჩამოშვებული ვიდგეთ. ჩვენ ვიქნებით ძალიან აქტიურები, ვიქნებით ქუჩაშიც, პარლამენტშიც, მედიაშიც. რაც უნდა ჩაახშონ, მაინც არსებობს დამოუკიდებელი მედიასაშუალებები, ახალიც შეიქმნება და ხალხს სათქმელს ყოველთვის ვეტყვით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წინასაარჩევნო პერიოდში ივანიშვილი აძლიერებს რეპრესიებს ოპოზიციაზე, ოპოზიცია გაორმაგებული ძალებით იმუშავებს. როდემდე გაგრძელდება ასე? კარგი გამოთქმა გვაქვს ქართველებს – აივსო მოთმინების ფიალა. მოთმინების ფიალა როცა აივსება, ამას ვეღარაფერი გააჩერებს. სიტუაცია უკვე აქეთკენ მიდის, სულ რამდენიმე წვეთი სჭირდება, რომ ეს ფიალა აივსოს, გადმოვიდეს და წალეკოს ეს ხელისუფლება.

მოვლენების განვითარების ეს სცენარი არ გვინდა, რადგან ეს იქნება ძალიან მძიმე ქვეყნისთვის. ამიტომ, სანამ დროა, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს ივანიშვილი, დაფიქრდეს იმაზე, რომ საქართველოში ძალაუფლების უზურპაცია არავის გაუვა.

თუ ეს რეპრესიები არ შეწყვიტა, ძალიან ცუდად დაამთავრებს. დღეს ადამიანების განწყობა აჩვენებს ერთ რამეს, რომ ეს ხელისუფლება აუცილებლად უნდა წავიდეს და წავა კიდეც ამ შემოდგომაზე.

კორნელი კაკაჩია: „20 სექტემბრიდან მძლავრი საპროტესტო აქციები დაიწყება“

იავო ნაცვლიშვილი

„საზოგადოებაში განცდაა, რომ გახარია კოჭლი იხვია... „ოცნებას“ მოკლე სათადარიგო სკამი აქვს“

„ქართული ოცნება“ ავტორიტარიზმისკენ საკმაოდ გადაიხარა

მედიაში არსებული ინფორმაციის თანახმად, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე თანახმაა, პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია გახდეს, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ირაკლი ღარიბაშვილმა დაიკავოს. იქამდე ვრცელდებოდა ცნობები, რომ „ქართულ ოცნებაში“ პრემიერის პოსტზე 2 კანდიდატურას განიხილავდნენ. პარტიის წევრების ერთი ნაწილი სწორედ გიორგი გახარიას ლობირებდა, ხოლო მეორე – ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილს. როგორც ჩანს, ამ ბრძოლაში გახარიამ გაიმარჯვა. ეს მაშინ, როდესაც 20 ივნისის მოვლენებში სწორედ გახარიაა დადანაშაულებული და მისი გადადგომის მოთხოვნით აქციები დღემდე არ შეწყვეტილა. აქცია 20 სექტემბერსაც იგეგმება.

რას მოუტანს გახარიას გაპრემიერება „ქართულ ოცნებას“, ხომ არ გააძლიერებს საპროტესტო მუხტს და რას უნდა ველოდოთ მამუკა ხაზარაძისგან? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი, პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია საუბრობს.

– მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილი თანახმაა, გახარია გადაიყვანოს პრემიერად. მოიტანს თუ არა ეს შედეგს „ოცნებისთვის“? მეორე მხრივ, ადამიანები ითხოვდნენ მის მოხსნას შს მინისტრობიდან, ეს, პირიქით, ეს ამ პოლიტიკურ პროცესში კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას ხომ არ შეიტანს?

– იმით უნდა დავიწყოთ, რომ ასეთი ჭორები პრაქტიკულად ყოველდღიურად ვრცელდება და, როგორც ჩანს, ეს კარგა ხანს გაგრძელდება. იქიდან გამომდინარე, რომ „ქართულ ოცნებაში“ არ არიან ჩამოყალიბებული, რა უნდა გააკეთონ მომავალში. ფაქტია, საზოგადოებაში არის ასეთი აზრი, რომ ბოლო პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლება ძალიან დასუსტდა. აქედან გამომდინარე, „ქართულ ოცნებას“ სჭირდება ახალი ფიგურა, რომელიც 2020 წლის არჩევნებამდე მიიყვანს ქვეყანას.

ბევრჯერ აღგვინიშნავს, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ივანიშვილს ძალიან მოკლე სათადარიგო სკამი აქვთ, ამიტომ მას გაუჭირდება ისეთი ფიგურის მოძებნა, რომელიც აღმასრულებელ ფუნქციებს შეასრულებს და ექნება ნდობა. ასეთი „ქართულ ოცნებაში“ სულ რამდენიმეა და ძირითადად ასეთი გახარიაა. ალბათ, აქედან გამომდინარე ვრცელდება ასეთი ინფორმაციები, თუმცა, რეალურად რა მოხდება, არავინ იცის.

მეორეა ის, რომ გახარიას მიმართ საზოგადოებაში გაორებული მიდგომა არსებობს. არიან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ გახარია არის კარგი მენეჯერი და კარგი შს მინისტრი, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილში ივნისის მოვლენების შემდეგ სხვა განცდაა. ძალიან ბევრს მიაჩნია, რომ გახარია კოჭლი იხვია, როგორც ამას ამერიკელები იტყვიან. ეს იქიდან გამომდინარე, რომ მას სერიოზული რეპუტაციული ზიანი მიადგა, ამიტომ ბევრი თვლის, რომ მისი პრემიერობის შემთხვევაში „ქართული ოცნება“ ვერაფერს მოიგებს. მისი დაზიანებული იმიჯი აღმასრულებელ ხელისუფლებას მთლიანად გადაეცემა და აღარ იქნება ისეც კი, როგორც დღეს არის. ამიტომ, ზუსტად რა მოხდება, ამის თქმა ძნელია, მაგრამ ეს არის, რა პროცესებიც შესაძლოა იყოს.

– გახარია 20 ივნისის მოვლენების შემდეგ ასოცირდება ძალადობასთან და ეს იმის აღქმაც ხომ არ იქნება, რომ „ქართული ოცნება“ ღიად დაადგა ძალადობის გზას?

– რთულია ახლა ამაზე საუბარი, მით უმეტეს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ჰიპოთეტურად, დაინიშნება თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ის მოიაზრება, როგორც ძალოვანი მინისტრი, ისევე, როგორც ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც შს მინისტრად მოიაზრება. იმის მიუხედავად, რომ დღეს ღარიბაშვილს არავითარი თანამდებობა არ უკავია აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ისიც მოიაზრება კურსის გამტარებლად. აქედან გამომდინარე, ამ თემებზე დაწვრილებით საუბარი შეგვეძლება მას შემდეგ, რაც ცვლილებები განხორციელდება. დღეს არ ვიცით, რა მოხდება ზუსტად, ვის სად დანიშნავენ.

ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო პერიოდში რაც ხდება ქართულ პოლიტიკაში, მიუთითებს იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ავტორიტარიზმისკენ საკმაოდ გადაიხარა. ეს ალბათ გამოწვეულია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებით. ამ გზით ცდილობენ ოპოზიციის დასუსტებას და ასევე მასმედიის დასუსტების ხარჯზე რაღაცნაირად სურთ, უზრუნველყონ ის, რომ 2020 წლის არჩევნებში გაიმარჯვონ, თუ ვერ გაიმარჯვებენ, კოალიცია მაინც შექმნან.

– „ქართულ ოცნებაში“ თუ ხედავთ იმის რესურსს, რომ ამ გამოწვევებსაც გაუმკლავდეს და არჩევნებზე წარმატებასაც მიაღწიოს. თუ უმრავლესობით ვერ მოვა, პირველი პარტიის სტატუსი რომ შეინარჩუნოს, ჩანს ეს რესურსი?

– ეს ანალიზი რომ გააკეთო, ცოტა რთულია, იმიტომ, რომ არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დროა. რაც შეეხება პარტიის დღევანდელ რესურსებს, როგორც აღვნიშნე, საკმაოდ მწირია. აქედან გამომდინარეა კამპანია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ თვითონაც ხვდებიან, სჭირდებათ ახალი ხალხი და ახალი ენერგია, მით უმეტეს, რომ პარტიაში ლიდერების სერიოზული პრობლემაა. კადრების თემა პარტიაში კარგა ხანია არ მუშაობს და ძირითადად კადრები მოდის არა პარტიიდან, საიდანაც უნდა მოდიოდეს, არამედ სულ სხვა ადგილებიდან, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მათ ამ მხრივ გარკვეული პრობლემები აქვთ.

– გარკვეული მოლოდინები საზოგადოებაში ხაზარაძის მიმართაც არის, რომელმაც გვითხრა, რომ მის პარტიაში ცნობილი პოლიტიკოსები არ იქნებიან. ეს რამდენად სწორი მიდგომაა?

– ნამდვილად არ ვიცი, სწორია თუ არა. ამის განსჯა ჩემი მხრიდან საკმაოდ რთული იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ მე არ ვიცი დეტალები. ალბათ მას იმედი აქვს იმის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ნიჰილისტურად არის განწყობილი დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის მიმართ და ამას საზოგადოებრივი კვლევის შედეგებიც ადასტურებს, რომ მოსახლეობის 30%-ს ნდობა არც „ქართული ოცნების“ მიმართ აქვს და არც ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ალბათ, მისი გათვლა ამაზეა, რომ ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი და ნიჰილისტურად განწყობილი ეს ამომრჩეველი შემოაბრუნოს, ყოველ შემთხვევაში, შესთავაზოს თავისი პლატფორმა თუ პოლიტიკური ძალა, როგორც ალტერნატივა. რამდენად გამოუვა ეს და რამდენად იმუშავებს ეს ფორმულა, ამას დრო გვიჩვენებს.

– მისი განცხადებები რამდენად საკმარისია? ზოგი უწუნებს გამბედაობას და მიიჩნევს, რომ უფრო აქტიურად უნდა დაუპირისპირდეს ხელისუფლებას, ზოგი, პირიქით, საყვედურობს რომ წინა ხელისუფლების დროს ჩუმად იყო.

– ეს საყვედურები გასაგებია. იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებაში ჩნდება კითხვა იმაზე, თუ ის აპირებდა პოლიტიკაში მოსვლას, მაშინ რატომ არ გადადგა ეს ნაბიჯები აქამდე. დღევანდელი სიტუაციიდან რასაც ვხედავთ, არის ის, რომ ემზადებოდა. თუმცა მას ჯერ არ შეუქმნია პოლიტიკური პარტია და მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლება. აქედან გამომდინარე, ძალიან რთულია, წინასწარ ვილაპარაკოთ მის პოლიტიკურ ძალაზე. ალბათ უნდა დაველოდოთ შემოდგომას, როდესაც მან დააანონსა ახალი მოძრაობის შექმნა და შემდეგ ვნახავთ, რამდენად ძლიერი მუხტის შემომტანი იქნება ქართულ პოლიტიკაში და მისი პოლიტიკური ძალა რამდენად ანგარიშგასაწევი იქნება მასთან ერთად.

– 20 სექტემბერს იგეგმება საპროტესტო აქცია. რას ელოდებით შემოდგომის აქციებისგან, იქნება თუ არა ისეთივე მძლავრი მუხტი, როგორიც ვნახეთ ივნისის მოვლენების დროს?

– ამას განსაზღვრავს ის, თუ რა მდგომარეობით მივა ქვეყანა 20 სექტემბრამდე. სავარაუდოდ, ალბათ ჯერ კიდევ არ არის პროტესტის განცდა მინელებული საზოგადოების ნაწილში 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით და უკმაყოფილების განცდა არსებობს ხელისუფლების მიმართ, კონკრეტულად კი – აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ეს აქციები იყოს საკმაოდ მძლავრი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ᲨᲔᲕᲘᲫᲔᲜ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

სერგი კაპანაძე: „ივანიშვილი ხაზარაძეში კონკურენტს ხედავს“

„თუ გახარიას პრემიერად დანიშნავენ, შესაბამის პასუხს მიიღებენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ სერგი კაპანაძე პასუხობს.

– პატონო სერგი, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს?

– 20 ივნისის მერე ყველამ ნათლად დაინახა ამ ხელისუფლების, ერთი მხრივ, პრორუსული და, მეორე მხრივ, ძალადობრივი სახე. როცა ჯერ გავრილოვი ჩამოიყვანეს და დაგვასვეს თავზე, მერე მიიღეს პროტესტი და შემდეგ ეს პროტესტი დაარბიეს, პატარა ბავშვებს თვალები დასთხარეს.

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ რადგან უკვე არჩევნები ახლოვდება, ბოლო წელი დაიწყო მისი მმართველობის, ბოლომდე მოახდინოს ძალაუფლების თავის ხელში კონცენტრაცია და შეასუსტოს ის ინსტრუმენტები, რომლებიც მის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

– რა ინსტრუმენტებზეა საუბარი?

– ეს არის ძლიერი ოპოზიცია, ძლიერი მედიასაშუალებები და მას სურს, ესენი ბოლომდე დაიქვემდებაროს. სწორედ ამით აიხსნება ის, რაც გააკეთა რუსთავი 2-თან მიმართებით. ამით აიხსნება ის, რა შეტევასაც ახორციელებს ახლა ტვ პირველზე. ამით აიხსნება ის დაჭერები, მათ შორის სისხლის სამართლის საქმეები პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ და ამითვე აიხსნება ხაზარაძე-ჯაფარიძეზე მიტანილი იერიში.

როგორც ჩანს, ეს ადამიანები მისთვის ასევე არიან პოლიტიკური კონკურენტები.

– ხაზარაძეში პოლიტიკურ ოპონენტს ხედავს და სწორედ ამიტომ ცდილობს მის განეიტრალებას?

– კი, ზუსტად ასეა. ის ცდილობს, პოტენციური პოლიტიკური ოპონენტი მოიშოროს, მაქსიმალურად შეამციროს მისი ფინანსები, რათა ხაზარაძეს ნაკლები ფინანსების ჩადების საშუალება ჰქონდეს პოლიტიკაში.

თუმცა, ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ ეს ყველაფერი წარუმატებლად დაუმთავრდება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რადგან შეუძლებელია, ამ გზით ხელისუფლება შეინარჩუნოს. 2020-ში ივანიშვილი აუცილებლად წააგებს პროპორციულ არჩევნებს, რადგან ხელისუფლება ძალადობრივი გზით ჯერ არავის შეუნარჩუნებია.

– რუსთავი 2-ის გაჩერების შემდეგ ივანიშვილის სამიზნე ტვ პირველიაო. რამდენად გამოუვათ მისი გაჩუმებაც?

– არ გამოუვათ. თუ ჰგონიათ, რომ რუსთავი 2-ისგან მეორე იმედს მიიღებენ, ძალიან ცდებიან. შეიძლება, ტელევიზია გადააკეთონ იმედად, მაგრამ მაყურებელი გადაერთვება იმ არხებზე, რომლებიც ან შეიქმნება, ან უკვე არსებობს.

დღევანდელ საზოგადოებაში თავისუფალი სიტყვის გაჩუმება არ გამოდის, მით უმეტეს არ გამოდის, როდესაც ინტერნეტის ეპოქაში ვართ. რადგან ტვ პირველიც ოპოზიციურად არის განწყობილი, ცდილობენ, ისიც გააჩუმონ.

დღეს ძალიან ბევრი რამეა საკრიტიკო და ყველა, ვინც კრიტიკას გამოთქვამს მათი მისამართით, ისინი თვლიან, რომ ის არის ოპოზიციური და პოლიტიზებული. გვახსოვს ის წერილი, ტვ პირველის დასმა რომ უნდოდათ იმედის ტრენდზე, აი, ზუსტად ამას ცდილობენ ახლა ამ შეტევით, სურთ, მაქსიმალურად შეუმცირონ ფინანსები და მუშაობის საშუალება.

– რამდენად გამოუვათ, ემუქრება საფრთხე ტვ პირველს?

– არ გამოუვათ, თუმცა მაქსიმალურად ცდილობენ, ფინანსური ზარალი მიაყენონ. თუ მსგავსი ნაბიჯები გააგრძელეს, ყველაფერია მოსალოდნელი, თუმცა საბოლოო მიზანს ვერ მიაღწევენ. შესაძლოა, ტვ პირველი დახუროს ან გააჩუმოს, ან ფინანსური პრობლემები შეუქმნას, მაგრამ საბოლოო მიზანი, რომ არ იყოს კრიტიკული სიტყვა, არ მიიღწევა. შეუძლებელია, ყველა ყოველთვის გააჩუმო.

– როდესაც ვსაუბრობთ ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეზე, იქვე ჩნდება კითხვა – რა ბედი ეწევა ანაკლიის პორტს, რამდენად ზარალდება ეს პროექტი?

– ანაკლიის პორტმა უკვე ძალიან დიდი ზიანი მიიღო. არ ვიცი, როგორ მოხერხდება ამ ზიანის შემცირება, იმიტომ, რომ მთავარი ინვესტორების სრული დისკრედიტაცია მოხდა, მით უმეტეს, მათ ბრალად დასდეს ისეთი საქმი, როგორიც არის ფულის გათეთრება, რაც ბოლომდე ანადგურებს ხოლმე ფინანსურ რეპუტაციას, ანუ ეს ზიანი უკვე მიადგათ.

ამას გარდა, ზიანი ადგება იმ კუთხით, რომ სხვა ინვესტორები ხედავენ, ხელისუფლება აშკარად არ არის დაინტერესებული ამ ღრმაწყლოვანი პორტის ამუშავებით. ჩვენ ვნახეთ, რომ რუსეთმა დააჩქარა თავისი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა და ასევე ვნახეთ, რომ ფოთში გააქტიურდა ნახევრად ღრმაწყლოვანი ტერმინალის მშენებლობის საკითხი. ეს ყველაფერი, ჯამში, როგორც ჩანს, მიდის იქით, რომ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა შეჩერდეს.

ფაქტია, რომ ეს პორტი დღეს სერიოზული პრობლემების წინაშეა. სწორედ ამიტომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს ის, რომ ასეთი მავნებლური ხელისუფლება 2020-ში გავუშვათ სახლში.

– ამ სიტუაციაში რას აპირებს ოპოზიცია?

– ჩვენი მიზანია პარლამენტის ფარგლებში პროპორციული საარჩევნო სისტემის ბოლომდე მიყვანა. მალე დაიწყება დისკუსია, რომ ეს პროცესი ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს და გადავიდეთ პროპორციულ სისტემაზე.

ამის შემდეგ გვექნება ფართომასშტაბიანი კამპანია ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით – რაიონებში. ვაპირებთ, შევხვდეთ ხალხს და ავუხსნათ, 2020-ში რატომ არის მნიშვნელოვანი ივანიშვილის სახლში წასვლა.

გარდა ამისა, 20 სექტემბერს დიდი აქცია გაიმართება. ამას ის ახალგაზრდები უწევენ ორგანიზებას, რომლებიც მართავენ აქციას „სირცხვილია“.

– თვეებია, ეს ახალგაზრდები გახარიას გადადგომას მოითხოვენ, თუმცა – უშედეგოდ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ივანიშვილმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება და პრემიერი სწორედ გახარია გახდება. რა რეაქცია ექნება ამაზე საზოგადოებას და ეს პროცესი რამდენად დააჩქარებს ამ ხელისუფლების წასვლას?

– თუ მართლა ასე მოხდა და ივანიშვილმა გახარია დააწინაურა, ნაცვლად იმისა, რომ სახლში გაუშვას, ამით კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ის არის სრულიად არაადეკვატური საზოგადოების მოთხოვნების მიმართ. თუმცა ეს ისედაც კარგად ვიცით, ივანიშვილის ყველა სატელევიზიო გამოსვლა ბოლო პერიოდში სწორედ მის არაადეკვატურობას უსვამს ხაზს.

ის მოწყვეტილია მთლიანად ხალხს, საერთოდ არ იცის, რა უნდა საზოგადოებას. თუ ახლა იმასაც ვერ ხვდება, რომ გახარია მოსახსნელია იმის გამო, რაც 20 ივნისს ჩაიდინა მისმა სამინისტრომ და ნაცვლად მოხსნისა, დააწინაურებს, ამის შემდეგ შესაბამის პასუხსაც მიიღებს.

აშშ საქართველოში პოზიციებს იძლიერებს

საქართველოსა და უკრაინასთან ერთად ანტირუსულ ბასტიონში ბელარუსი სახელდება

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოში გააქტიურებული პრორუსული ჯგუფები მოსახლეობაში თესავენ პანიკას. ისინი ხალხს არწმუნებენ, რომ ამერიკამ და ევროპამ საქართველო მიატოვეს და რუსეთის პირისპირ დამდგარი ქვეყანა მოსკოვის ყველა პირობას უნდა დათანხმდეს – იქნება ეს ნეიტრალიტეტი, ნატოზე უარი თუ კონფედერაცია კონფლიქტურ რეგიონებთან. მათი მტკიცებით, დასავლეთი რუსეთს უკვე შეურიგდა და დიდი რვიანის ფორმატის აღდგენაც გადაწყვეტილია.

ამავე დროს, ამერიკის წყაროები და ამერიკელი ექსპერტები საუბრობენ უახლოეს მომავალში აშშ-ის როლის გარდაუვალ ზრდაზე პოსტსაბჭოთა სივრცეში, პირველ რიგში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ამერიკის გავლენის გაფართოება გაგრძელდება უკრაინაში. საქართველოსა და უკრაინასთან ერთად ანტირუსულ ბასტიონში უკვე სახელდება ბელარუსი.

ამ კვირაში მინსკში ჩადის აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი. ეს იქნება ამერიკელი მაღალჩინოსნის პირველი ვიზიტი ბელარუსში ასწლეულის განმავლობაში.

ამერიკელი ანალიტიკოსების შეფასებით, ეს ხდება იმ დროს, როცა აშშ-ის პრეზიდენტი ცდილობს რუსეთის დაბრუნებას დიდ რვიანში. მათი აზრით, ბოლტონის ვიზიტი ბელარუსში კრემლის უდიდეს გაღიზიანებას გამოიწვევს.

პუტინისთვის, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა 2024 წელს ეწურება, რუსეთის კონსტიტუცია კი შემდგომ საპრეზიდენტო ვადას უკრძალავს, მოკავშირე ბელარუსი გადარჩენის საშუალებაა. თუ რუსეთმა და ბელარუსმა კავშირი საბოლოოდ გააფორმეს, პუტინს ექნება საშუალება, რუსეთის კონსტიტუციის გვერდის ავლით კიდევ გახდეს სახელმწიფოს მეთაური.

როგორც ჩანს, დასავლეთი პუტინს ბელარუსის გამოყენების უფლებას არ მისცემს.

ამერიკელი მიმომხილველების სიტყვებით, დასავლეთი ბელარუსს, რომელსაც ევროპის უკანასკნელ დიქტატურას უწოდებენ, კარგა ხანს იზოლაციაში ამყოფებდა. მინსკი ამ პერიოდში თავის სუსტ ეკონომიკას რუსეთის სუბსიდიებით აცოცხლებდა.

ლუკაშენკო ხანდახან დასავლეთთან თამაშობდა, რათა რუსეთისაგან მიეღო ის, რაც სურდა. 2014 წელს მოხდა გარდატეხა. რუსეთის შეჭრამ აღმოსავლეთ უკრაინაში აიძულა ბელარუსის პრეზიდენტი, გადაეფასებინა ურთიერთობა რუსეთთან. მან დაიწყო თანამშრომლობა დასავლეთთან და ჩინეთთან.

2015 წელს ლუკაშენკომ გაათავისუფლა პოლიტპატიმრები. ამის შემდეგ აშშ-მ და ევროპამ მინსკს სანქციების დიდი ნაწილი მოუხსნეს.

ამერიკული მედიის ცნობით, პირველად თავის ისტორიაში ბელარუსი განიხილავს ამერიკული ნავთობის შესყიდვის შესაძლებლობას და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას.

იგეგმება ასევე ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის გაფართოება მინსკში.

ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის დოპლომატია არც ისეთი ძლიერია, როგორც ამას რუსები წარმოაჩენენ. რუსეთის დიპლომატიის სისუსტე გამოაშკარავდა თბილისში ივნისის მოვლენების დროს.

კრემლს დაქვემდებარებული ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ კრემლმა პოსტსაბჭოთა სივრცე არ უნდა დათმოს. მათი თქმით, რუსეთის ხელშია ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა ბირთვული იარაღი და ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირება.

გეოპოლიტიკური ბრძოლები უკვე აისახა საქართველოში არსებულ სიტუაციაზე. მოსალოდნელია მდგომარეობის გამძაფრება.

კობა გვენეტაძე: „თანამდებობის დატოვებას არ ვაპირებ“

– იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ ზომები არის მისაღები, მივიღებთ ყველა ზომას.

ამის შესახებ ეროვნული ვალუტის ინფლაციაზე საუბრისას ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ განაცხადა.

– მცურავი კურსის პირობებში აბსოლუტურად შეუძლებელია ლარის კურსზე პროგნოზების გაკეთება. ბოლო პერიოდში მომხდარი მოვლენების გამო შეიქმნა მოლოდინი, რომ სავალუტო შემოსავლები უფრო ცუდი იქნებოდა, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში იქნებოდა, რამაც მოახდინა გავლენა ლარის კურსზე.

ჩვენ რამე კონკრეტული ნიშნული ლარის კურსისთვის არ გვაქვს. ჩვენი მთავარი მანდატია ინფლაცია. 4 სექტემბერს გვაქვს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი და ამ კომიტეტზე ვიმსჯელებთ. თუ ჩავთვლით, რომ ზომები არის მისაღები, ვიღებთ ყველა ზომას, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

რაც შეეხება ოპოზიციის მოთხოვნაზე პასუხს, რომ გვენეტაძემ თანამდებობა უნდა დატოვოს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აცხადებს, რომ პოსტიდან წასვლას არ აპირებს.

– არანაირი თანამდებობის დატოვებას არ ვაპირებ, – აღნიშნა კობა გვენეტაძემ.

ორნელი კაკაჩია: „20 სექტემბრიდან მძლავრი საპროტესტო აქციები დაიწყება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შემდეგ უკვე პროცესების განვითარება ხელისუფლების რეაქციაზეა დამოკიდებული. თუ ხელისუფლებამ რაღაცნაირად გააგრძელა ის პოლიტიკა, რომელსაც ახლა ატარებს – ხელების გადაგრეხის პოლიტიკა ოპოზიციური სპექტრისა და დამოუკიდებელი მედიისადმი, მაშინ ეს მუხტი კიდევ უფრო მოიმატებს, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ამის გამოცდილება, თუნდაც წინა ხელისუფლების პირობებში. როგორც კი ისინი ადგებოდნენ ავტორიტარიზმის გზას, მაშინვე იზრდებოდა საზოგადოების წინააღმდეგობა და ეს პროტესტი უფრო მძლავრი ხდებოდა. აქედან გამომდინარე, პროცესების განვითარება დამოკიდებულია ხელისუფლების ქმედებებზე. რამდენად გააგრძელებს იმ პოლიტიკას, რომელსაც „ქართული ოცნება“ ახლა ატარებს. სავარაუდოდ, არ არის გამორიცხული, რომ ის მიიღებს წინააღმდეგობას, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების ნაწილისგან მაინც.

– გახარიას გაპრემიერებაც ხომ არ გაზრდის ამ მუხტს?

– არ არის გამორიცხული, ამიტომ, გარკვეულწილად, ცეცხლთან თამაშს ჰგავს ხელისუფლების მოქმედებები, თუ ისინი ამ ნაბიჯზე წავლენ. იმიტომ, რომ ივნისის აქციების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო, რომ ის გადამდგარიყო. ხელისუფლება თუ წავა ამ ნაბიჯზე და მოხდება მისი დაწინაურება, ეს გარკვეულწილად რისკია ხელისუფლებისთვის. ალბათ, თვითონ დათვლიან ამ რისკებს, რამდენად უღირთ ამის გაკეთება.

შვეიცარია საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარებს

პირველი ოქტომბრიდან შვეიცარია საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარებს. ამის შესახებ შვეიცარიული გამოცემა ნოიე ციურიხერ ციაიტუნგი წერს.

გამოცემის ცნობით, შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ უსაფრთხო ქვეყნების სია დღეს განაახლა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ შვეიცარია მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა შემცირდეს თავშესაფრის იმ მაძიებელთა რიცხვი, რომლებსაც ქვეყანაში დასარჩენად საკმარისი საფუძველი არ აქვთ.

უსაფრთხო ქვეყნებიდან ჩასული თავშესაფრის მაძიებელთა საქმე დაჩქარებული წესით განიხილება და მათ წესისამებრ არ მიენიჭებათ ლტოლვილის სტატუსიც.

როგორც გაზეთი წერს, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვმა 2017 წლის შემოდგომის შემდეგ მოიმატა როგორც ევროპაში, ასევე შვეიცარიაში და ეს პირდაპირ კავშირშია ვიზალიბერალიზაციასთან. გამოცემის ცნობით, შვეიცარიამ უკვე გაატარა სხვადასხვა ღონისძიება, თუმცა თავშესაფრის უსაფუძვლოდ მაძიებელთა რიცხვი მაინც შედარებით მაღალია.

ამ მხრივ გასულ წელს საქართველო მეხუთე ადგილზე იყო ერითრეას, ავღანეთის, სირიისა და თურქეთის შემდეგ. საერთო ჯამში, დაფიქსირდა 873 განაცხადი, რაც 2017 წელთან შედარებით 30 პროცენტით მეტია.

3 წლის ბავშვზე თავდასხმის ბრალდებით 51 წლის მხატვარი თამარ საძაგლიშვილი დააკავეს

ის მარეხ გოძიაშვილის ოჯახის წევრია

„რამდენიმეჯერ იწვა ფსიქიატრიულში და მალევე გამოდიოდა“

გუშინ, 28 აგვისტოს, პოლიციამ დააკავა ქალი, რომელმაც 27 აგვისტოს, საღამოს, თბილისში, პეკინის გამზირზე, ცივი იარაღით დაჭრა მცირეწლოვანი ბავშვი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით 1968 წელს დაბადებული თ.ს. დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, თბილისში პეკინის გამზირზე, 2015 წელს დაბადებულ მცირეწლოვანს, ცივი იარაღით დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა“.

გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე. სისხლის სამართლის კოდექსით, მსგავსი დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

პეკინის გამზირზე ქალის მიერ დაჭრილ ბავშვს 27 აგვისტოს, ღამით, ქირურგიული ოპერაცია გაუკეთეს ჟვანიას სახელობის კლინიკაში.

ყბა-სახის ქირურგმა ნათია ვასაძემ რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ პაციენტს აღენიშნებოდა ღრმა, ნაკვეთი ჭრილობები ცხვირისა და მარჯვენა ლოყის მიდამოში. ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც რადიო თავისუფლებას ბავშვის მამა უყვება, პეკინის გამზირზე, როდესაც ის მეუღლესთან და 3 წლის ტყუპ შვილებთან იმყოფებოდა, მის ერთ-ერთ შვილს მოულოდნელად ოჯახისთვის აბსოლუტურად უცნობი ქალი დაესხა თავს.

– სასეირნოდ ვიყავით გამოსული ქუჩაში, შევამჩნიე, რომ გამვლელი ქალი მოგვიახლოვდა და ბავშვისკენ გადაიხარა, მეგონა, რომ მოფერებას აპირებდა, ასე გამვლელები ხშირად ეფერებიან ხოლმე ბავშვს და ბუნებრივ საქციელად ჩავთვალე. შემდეგ უკვე მეორე ბავშვისკენ გამოიწია, დანა რომ ეჭირა ხელში, ეგეც კი გვიან შევამჩნიე, ჩემი მეუღლის და ბავშვის ტირილზე გავაცნობიერე, რომ რაღაცა მოხდა, მერე დავინახე, რომ ბავშვს სისხლი მოსდიოდა, – უთხრა რადიო თავისუფლებას ბავშვის მამამ.

ის მოულოდნელობისგან იმდენად დაიბნა, რომ სასწრაფოს გამოძახებაც კი გამვლელებმა დაასწრეს. მანამდე მას თავდამსხმელი უბანში არასოდეს შეუმჩნევია.

– ასე გამვლელებს ხომ არ ვაკვირდებით, არა? წარმოდგენა არ მაქვს, ვინ იყო და რა ამოძრავებდა, – თქვა ბავშვის მამამ.

მოგვიანებით პეკინზე ბავშვის დაჭრის საქმეზე დაკავებული ქალის ვინაობა გაირკვა – ის 51 წლის მხატვარი თამარ საძაგლიშვილია.

ბრალდებული ცნობილი სახალხო არტისტის, მარეხ გოძიაშვილის, ოჯახის წევრია.

დაკავებულის ოჯახის ახლობლები აცხადებენ, რომ საძაგლიშვილი თბილისში დროებით მარტო ცხოვრობდა.

მას ოჯახის წევრებიდან მხოლოდ დედა ჰყავს, რომელსაც შეკვეთილში კერძო სასტუმრო აქვს.

– ვნახეთ კადრები და შოკში ვართ, არ ვიცით, რა და როგორ მოხდა. ცხოვრობდა მშვიდად, არასოდეს მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. რაც მოხდა გუშინ, გვიჭირს საუბარი. თამარ საძაგლიშვილს სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული და ძირითადად სახლში იყო და ხატავდა, – განაცხადა ოჯახის ახლობელმა ციური ჯიქიძემ.

მან პალიტრანიუსს უთხრა, რომ დაკავებულ მხატვარს ბოლო 1 წლის განმავლობაში ფსიქიკურ პრობლემებს ამჩნევდნენ.

– ის არის ჩემი მეგობარი. არის უაღრესად განათლებული. ძალიან ვწუხვართ ბავშვისა და მისი ოჯახის გამო. ის არისტოკრატიული ოჯახის შვილია. მე მას მთელი ცხოვრება ვიცნობ. არის არაჩვეულებრივი ადამიანი. 2 დღით ადრე ვნახე, ვისხედით, ყავას ვსვამდით, აბსოლუტურად ნორმალურად იყო, მაჩვენა თავისი ნახატები. რა მოხდა, რამ აიძულა, რამ გააკეთებინა, ვერ გეტყვით, – თქვა პალიტრანიუსთან საუბრისას ციური ჯიქიძემ.

მეზობლების თქმით, საძაგლიშვილმა შარშან მკურნალობა შეწყვიტა.

– ჯიუტი იყო მკურნალობის მხრივ. სჭირდებოდა მკურნალობა, მაგრამ არ მკურნალობდა. ვიზუალურად არ ეტყობოდა, რომ ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, უბრალოდ, მე ვიცნობდი ბავშვობიდან და ვიცოდი მისი მდგომარეობა. რამდენიმეჯერ იწვა ფსიქიატრიულში და მალევე გამოდიოდა, – უთხრა ინტერპრესნიუსს ერთ-ერთმა მეზობელმა ლია მიქაძემ.

ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობისთვის ვადიმ სოკოლოვი დააკავეს

ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობის ბრალდებით რუსეთის მოქალაქე, 49 წლის ვადიმ სოკოლოვია დაკავებული.

ბრალდებულს ბინა იმ პარკთან ახლოს ჰქონდა დაქირავებული რამდენიმე დღით, სადაც მკვლელობა მოხდა.

გერმანული მედია საქმეს სკრიპალების საქმე 2-ს უწოდებს და რუსული სპეცსამსახურების კვალზე მიუთითებს.

სოკოლოვი გერმანიაში მოსკოვიდან პარიზის გავლით ჩავიდა. ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინეს უკან მოსკოვში დასაბრუნებელი ბილეთიც. დაკავებული მამაკაცი გერმანიაში ვიზით შევიდა და რამდენიმე დღით დარჩენის უფლება ჰქონდა.

– ბევრი რამ მიუთითებს, რომ მკვლელობა კარგად იყო დაგეგმილი, 49 წლის რუსეთის მოქალაქე ხანგოშვილს ველოსიპედით მიუახლოვდა და უკნიდან რამდენჯერმე ესროლა. რუსეთის მოქალაქე მკვლელობის შემდეგ ადგილიდან გაიქცა. მკვლელობის იარაღი და ველოსიპედი მან მდინარეში გადაყარა იმ იმედით, რომ სამართალდამცავები მათ ვეღარ იპოვიდნენ.

მედიაში მოტივთან დაკავშირებით ბევრი სპეკულაცია მოვისმინეთ, შესაძლოა მკვლელობას აქვს კავშირი რაიმე კონკრეტულ მოვლენასთან თუმცა პროკურატურა მხოლოდ ფაქტებზე საუბრობს, შესაბამისად, მე ვერ დავადასტურებ და ვერც უარვყოფ ამ მკვლელობის კავშირს რაიმე მოვლენასთან, – განაცხადა გერმანიის პროკურატურის წარმომადგენელმა.

„ლაურა ღაჭავას ნათესავები და მეგობრები ქონების ჩადებას სთავაზობენ“

ბრალდებულმა ბიზნესმენმა ლაურა ღაჭავამ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა, რომლის თანახმადაც, მას აღკვეთის ღონისძიების სახით 500.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

აღნიშნულის შესახებ ინტერპრესნიუსს ღაჭავას ადვოკატმა კობა ამბარდნიშვილმა განუცხადა.

– 22 სექტემბრამდე დრო გვაქვს და ჯერ არ გადაგვიწყვეტია არაფერი. ლაურა ღაჭავას მეგობრებიც და ნათესავებიც თვითონ სთავაზობენ, ჩემი ქონება ჩადეო, მაგრამ ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

ქალბატონი ლაურას უძრავ ქონებას შევაფასებთ, მასაც აქვს დარჩენილი უძრავი ქონება, თუ შეფასდა იმ ფასად, რომ შესაძლებელი იქნება, იპოთეკაში ჩაიდოს, ჩადებს. თუ არადა, როგორც გითხარით, ნათესავები და მეგობრები სთავაზობენ ქონების ჩადებას. მოგეხსენებათ, ქალბატონ ლაურას ყველა ქონება, ანგარიშები დაყადაღებული აქვს, – თქვა ამბარდნიშვილმა.

მან თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იმის გამო არ გაასაჩივრა, რომ დრო საქმის მასალების შესწავლას დაუთმოს.

– გადაწყვეტილება არ გაგვისაჩივრებია, მაშინ ქალბატონი ლაურა გაღიზიანებული იყო აღკვეთის ღონისძიების გამო და გადავწყვიტეთ, ის დრო, რაც გასაჩივრებაში უნდა დაგვეხარჯა, მასალების შესწავლაში დავხარჯოთ, – განაცხადა ამბარდნიშვილმა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიზნესმენ ლაურა ღაჭავასთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე 23 აგვისტოს იმსჯელა. მოსამართლემ ღაჭავას 500.000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ამასთან, ბიზნესმენს საგამოძიებო უწყების ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე საზღვრის გადაკვეთა აეკრძალა.

საგამოძიებო სამსახურმა ლაურა ღაჭავას წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. უწყების ინფორმაციით, ღაჭავას მიერ გამოყენებული ყალბი აქტივის ოდენობა და სახელმწიფოსთვის მიყენებული, ამ ეტაპზე დადგენილი ზიანი შეადგენს 2.160.955 ლარს.

ღაჭავას წინააღმდეგ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს. მას 4-დან 7 წლამდე ვადით პატიმრობა ემუქრება.

პრეზიდენტმა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით 34 მსჯავრდებული შეიწყალა

მათ შორის არ არის დეკანოზი გიორგი მამალაძე

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 34 მსჯავრდებული შეიწყალა, საიდანაც 1 არასრულწლოვანი და 8 ქალია. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ანგი ხუციშვილმა განაცხადა.

– საქართველოს პრეზიდენტი 2018 წლის 17 დეკემბრიდან იყენებს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებას მსჯავრდებულების შეწყალებასთან დაკავშირებით. მთელი ამ ხნის განმავლობაში შეწყალების პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს და არ შეჩერებულა. დღეის ჩათვლით პრეზიდენტს სულ 91 მსჯავრდებული ჰყავს შეწყალებული, – განაცხადა ანგი ხუციშვილმა.

შეწყალებულთა შორის არ არის დეკანოზი გიორგი მამალაძე.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს უთხრა დეკანოზის ძმამ თორნიკე მამალაძემ.

– პრეზიდენტმა 34 ადამიანი შეიწყალა. ჩემი ძმა რომ შეეწყალებინა, დამირეკავდნენ და მეტყოდნენ, წაიყვანე შენი ინვალიდი ძმაო. არ დაურეკავთ, ანუ არ შეიწყალა.

ეს საპატრიარქოს, პრეზიდენტის და ხელისუფლების ერთობლივი გადაწყვეტილებაა და ყველა აგებს პასუხს. სექტემბრიდან მიიღებენ საპროტესტო აქციებს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დავიღალე, ძალიან ცდება, – თქვა მამალაძემ.

დეკანოზი გიორგი მამალაძე გლდანის პენიტენციარული დაწესებულების საავადმყოფოშია მოთავსებული.

მსჯავრდებულმა საქართველოს პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს შეწყალების თხოვნით რამდენიმე დღის წინ მიმართა. აღნიშნული თხოვნით მან ყოფილ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსაც მიმართა, რომელმაც დეკანოზს შეწყალებაზე უარი უთხრა.

გარდაბანში 21 წლის კასუმ ოსმანოვს ეძებენ



ქვემო ქართლის რეგიონში, გარდაბანში, 21 წლის მამაკაცს ეძებენ.

ნიუპოსტის კორესპონდენტის ცნობით, კასუმ ოსმანოვი 8 დღის წინ გაუჩინარდა.

დაკარგულის ბიძა, ალიკა ბაირამოვი, აცხადებს, რომ ყველგან მოიკითხეს, სადაც კი შეიძლებოდა თუმცა ახალგაზრდის კვალს ვერ მიაგნეს. მისი თქმით, კასუმს არც კონფლიქტი ჰქონია ვინმესთან და არც რამე სხვა პრობლემა.

ოჯახმა ბიჭის გაუჩინარების შესახებ პოლიციას მიმართა.

თბილისში 5-მა შეიარაღებულმა ნიღბიანმა ამაღლების ქუჩაზე ოჯახი დააყაჩაღა

თბილისში 5-მა შეიარაღებულმა ნიღბიანმა თავდამსხმელმა ამაღლების ქუჩაზე მცხოვრები ოჯახი დააყაჩაღა.

ინფორმაციას ტელეკომპანია „მაესტრო“ ავრცელებს.

შემთხვევა 28 აგვისტოს, გამთენიისას მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, სახლში მყოფები გაკოჭეს, დიდი ოდენობით თანხა და ძვირფასეულობა კი დაყაჩაღებული ოჯახის კუთვნილი ავტომობილით წაიღეს.

კერძოდ, საუბარია 60.000 ლარის ღირებულების ძვირფასეულობასა და ნაღდი ფულის სახით 20.000 ლარზე.

მოპარული ავტომობილი ნაპოვნია. საქმეზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

იმედინიუსი

ბრიტანეთის მთავრობამ დედოფალს პარლამენტის მუშაობის შეჩერება სთხოვა

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გაერთიანებული სამეფოს დედოფალს პარლამენტის მუშაობის დროებით შეჩერების თხოვნით მიმართა. ეს შეიძლება მოხდეს დეპუტატების არდადეგების დამთავრებიდან სულ რამდენიმე დღეში.

– ასეთ შემთხვევაში დედოფლის სიტყვით გამოსვლა, რომელიც მთავრობის გეგმის წარდგენას შეეხება, 14 ოქტომბრისთვის გადაიდება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა.

გარდა ამისა, პარლამენტის წევრებს აღარ რჩებათ დრო კანონების მისაღებად, რაც ბრიტანეთის პრემიერს ხელს შეუშლის 31 ოქტომბერს ქვეყნის ევროკავშირიდან გაყვანაში ხელშეკრულების გარეშე.

მიმომხილველების აზრით, ამ გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, სერიოზული პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიოს. დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ ეს გადაწყვეტილება მათ ბრექსიტის პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის საშუალებას ართმევს.

პრემიერი ბორის ჯონსონი უარყოფს, რომ მისი ეს მიმართვა დედოფლისადმი განპირობებულია ქვეყნის ევროკავშირიდან ხელშეკრულების გარეშე გაყვანის სურვილით. ის აცხადებს, რომ დეპუტატებს საკმარისი დრო ექნებათ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პირობების განსახილველად.

ოპოზიციური პარტიები მოუთმენლად ელოდებიან საპარლამენტო სესიის განახლებას, რათა არ დაუშვან ბრიტანეთის ევროკავშირიდან ხელშეკრულების გარეშე გასვლა. მაგრამ ახლა მათ ამისთვის, შესაძლოა, სულ რამდენიმე დღე ჰქონდეთ.

ბრიტანეთის პარლამენტის მუშაობის შეჩერება, როგორც წესი, აპრილში ან მაისში ყოველწლიურად ხდება. ყველა დეპუტატი და მინისტრი, ცხადია, პოსტს ინარჩუნებს, თუმცა ამ დროს კანონების განხილვა და კენჭისყრა არ ხდება. პარლამენტის მუშაობა ბოლო 2 წლის განმავლობაში ამ შემადგენლობის არჩევიდან 2017 წელს არ შეჩერებულა.

ბრიტანეთის პრემიერს პარლამენტის მუშაობის შეჩერება შეუძლია. გადაწყვეტილებას, მთავრობის თხოვნით, დედოფალი იღებს და დეპუტატებს ხმის უფლება არ აქვთ.

ძლიერი წყალდიდობა იაპონიაში არის მსხვერპლი

იაპონიაში ძლიერი წყალდიდობაა. დაიღუპა 2 ადამიანი. დატბორილი ტერიტორიებიდან 850.000-მდე ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

უხვმა ნალექმა მდინარეებში წყლის დონის მატება გამოიწვია, რის შედეგადაც წყალი ნაპირებიდან გადავიდა, რამდენიმე ადგილას კი მეწყერი დაფიქსირდა.

სტიქიამ განსაკუთრებით დააზარალა კიუსიუს რეგიონი. წყალმა ავტომობილებიც დააზიანა.

სტიქიის გამო გაუქმდა სარკინიგზო რეისები. შეფერხებულია გზებზე სატრანსპორტო მოძრაობა. ქალაქ საგას დატბორილ ქუჩებში მოცურავე თევზებიც დააფიქსირეს.

იაპონიის მეტეოროლოგიური სამსახური მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს, ვინაიდან მსგავსი რაოდენობით ნალექი კიუსიუს რეგიონს არასოდეს გამოუცდია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

კალეიდოსკოპი

ბრიტანელმა ვიდეოზე ლეგენდარული მითიური არსება გადაიღო

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა მარკ დევისმა, რომელიც საკუთარ თავს მოჩვენებებზე მონადირეს უწოდებს, ვიდეოზე გადაიღო მითიური არსება, რომელზეც უკვე ას წელზე მეტია, ლეგენდები დადის.

დევისი ამტკიცებს, რომ კორნუოლის სასაფლაოზე მან მოახერხა, გადაეღო არსება, ნახევრად ადამიანი, ნახევრად ბუ, რომელიც იქ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მკვიდრობს და ადგილობრივ მცხოვრებლებს აშინებს. მისი თქმით, ნახევარბუ ბოლოს 1976 წელს ნახეს.

მოჩვენებებზე მონადირემ არსების აღმოჩენა საგანგებო მოწყობილობის დახმარებით მოახერხა, რომელიც ელექტრომაგნიტური ენერგიის ამოფრქვევას აფიქსირებს. მისი თქმით, ნახევარადამიანი-ნახევარბუ ხეზე იჯდა და შიშინებდა, შემდეგ კი თავს ზევით გადაუფრინა. ამ არსებასთან შეხვედრის შემდეგ დევისის თანაშემწეს ხელზე ნაკაწრები აღენიშნება, ხოლო კამერა გაუფუჭდა.

– იქ მარტო მისვლას არავის ვურჩევ, – განაცხადა დევისმა. ის თვლის, რომ იმ სასაფლაოზე ყოფნა სახიფათოა.

ლეგენდის თანახმად, ნახევრად ადამიანი-ნახევრად ბუ არსება ორმა გოგონამ გასული საუკუნის 20-იან წლებში შენიშნეს. ის ეკლესიის სახურავზე იჯდა. არსება ადამიანის სიმაღლის იყო, ჰქონდა რქები, ფრთები და მოელვარე თვალები. გოგონების მამა ამან ისე შეაშინა, რომ დაუყოვნებლივ გადასახლდა კორნუოლიდან, ამ ამბავზე კი მაშინ ბევრი გამოცემა წერდა.

ამერიკელმა ცოცხალ ალიგატორს თავი მოაჭამა

ამერიკის ლუიზიანის შტატის ქალაქ ლაფეიეტის მცხოვრებს ახალგაზრდა ალიგატორის მოკვლისთვის პატიმრობა ემუქრება.

23 წლის კლეიტონ ბურჰისმა თავისი ნაცნობების 22 წლის ჯოშუა უოკერისა და 55 წლის ჯულს უოკერის თვალწინ თავი მოაჭამა 30 სანტიმეტრი სიგრძის ცოცხალ რეპტილიას.

მამაკაცი დააპატიმრეს და ცხოველის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში სასტიკი მოპყრობის, ასევე ალიგატორის ნადირობის სეზონის დაწყებამდე მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. მისი ნაცნობები ალიგატორის უკანონოდ შენახვისთვის დააჯარიმეს.

ცხოველის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში სასტიკი მოპყრობა 5-დან 25 ათას დოლარამდე ჯარიმით და ერთიდან ათ წლამდე პატიმრობით ისჯება. სანადირო სეზონის დაწყებამდე ალიგატორის უკანონოდ შენახვა 400-დან 950 დოლარამდე ჯარიმას ან 120 დღით პატიმრობას ითვალისწინებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პენსიონერი ქალი სახლის გაქურდვას ემსხვერპლა

ინგლისის ნორთჰემპტონშირის საგრაფოს ქალაქ ბუტვილის მცხოვრები მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც მძარცველებმა მის სახლში შეაღწიეს და მისთვის ძვირფასი ნივთები მოიპარეს. ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის თანახმად, ის გატეხილი გულის სინდრომმა დაღუპა.

93 წლის ბეტი მონრომ საკუთარ სახლში შეუშვა მძარცველები, რომლებიც მას პოლიციელებად წარუდგნენ. ბოროტმოქმედებმა ქალის სახლიდან გაიტანეს მისი ჩანთა, ბანკის ბარათები, ოქროს ჯაჭვი და ასევე – მისი გარდაცვლილი მეუღლის საათი. მომხდარის შემდეგ მონრომ პოსტტრავმული სტრესული აშლილობა გადაიტანა და მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დაეწყო.

ექიმებმა ქალს ტაკოცუბოს კარდიომიოპათიის ანუ გატეხილი გულის სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს. დაავადება ხასიათდება გულის კუნთების შეშუპებით და შესაძლოა, ემოციური სტრესით იყოს გამოწვეული. გარკვეული დროის შემდეგ პენსიონერი ქალბატონი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

პოლიციელები მომხდარის გამომძიებას აწარმოებენ. ცნობილია, რომ გაძარცვამდე ბოროტმოქმედებმა მსხვერპლის სახლი რამდენიმეჯერ შეათვალიერეს.

ქალმა სასწავლო ვიდეოს ნახვის შემდეგ ალმასი იპოვა

ამერიკის არკანზასის შტატში მდებარე პარკ „ალმასების რკატერში“ ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა 3,72-კარატიანი ალმასი იპოვა.

27 წლის მირანდა ჰოლინგსჰედმა პაიკის ოლქში მდებარე ცნობილი პარკის შესახებ ოთხი წლის წინ შეიტყო, ხოლო რამდენიმე დღის წინ ოჯახთან ერთად მისი დათვალიერება გადაწყვიტა. ტეხასის მკვიდრი იხსენებს, თუ როგორ იჯდა ჩრდილში და იუთუბიში სასწავლო ვიდეოს უყურებდა, რომელიც ძვირფასი ქვების ძიებას ეხებოდა.

– წამით ეკრანს თვალი მოვაშორე, ბავშვებს შევხედე, შემდეგ ძირს დავიხედე და ალმასი ქვების გროვაში შევნიშნე, – განაცხადა ქალმა.

ჰოლინგსჰედმა ალმასი სპეციალურ ცენტრში მიიტანა, სადაც პარკის თანამშრომლებმა მისი ნაპოვნი ქვა დაარეგისტრირეს. მათ ქალს განუმარტეს, რომ ძვირფასი ქვა მიწის ზედაპირზე, შესაძლოა, ახლახან მოსული წვიმის შედეგად აღმოჩნდა. ტრადიციის თანახმად, ქალმა შვილთან ერთად ძვირფას ქვას სახელი შეურჩია და „კარო შურისმაძიებელი“ დაარქვა. მისი განმარტებით, სახელის პირველი სიტყვა მისმა შვილმა მოიგონა, ხოლო მეორით სუპერგმირების მიმართ საკუთარი სიყვარული გამოხატა.

ამჟამად ჰოლინგსჰედი ფიქრობს, ნაპოვნი ალმასი გაყიდოს თუ ბეჭედი დაიმზადოს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ბორჯღალოსნებმა მეფეები ბოლოში გატეხეს

საქართველო-საუზერნ კინგსი 24:20

თბილისი. მიხეილ მესხი

ბორჯღალოსნებმა 2019 წლის მსოფლიო თასის პირველ მოსამზადებელ მატჩში სამხრეთაფრიკულ საუზერნ კინგსს თამაში დასკვნით წუთებში შემოუტრიალეს, 3 ლელო გაუტანეს და 24:20 დაამარცხეს.

საწყის წუთებში გამოჩნდა, რომ მორაგბეებს დიდი ხნის განმავლობაში ბურთთან კონტაქტი არ ჰქონდათ. შეუთამაშებლობის ფონზე ხშირი იყო არაზუსტი პასები და ბურთის ვარდნა, დავთმეთ რამდენიმე საკუთარი დერეფანი, შეცდომები დავუშვით ფეხით თამაშისას.

ამის ფონზე კინგსი ჯარიმით დებიუტშივე დაწინაურდა, მერე დერეფნიდან ბურთი გაშალა და 3 ფაზის შემდეგ, ალამთან ლელო გავიდა, რასაც ზუსტი გარდასახვა მოყვა. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ დაშავდა და მოედნის მე-7 წუთზე დატოვება მოუწია გიორგი ცუცქირიძეს. მას ფეხი დაუზიანდა და სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში გადაიყვანეს გამოკვლევაზე. არაოფიციალური ცნობით, პასუხი დამაიმედებელი ვერ არის – დიდი შანსია, ახალგაზრდა მორაგბემ მსოფლიოს თასი გამოტოვოს.

მე-15 წუთზე ბორჯღალოსნებმა პირველი, ლამაზი საპასუხო ლელო გაიტანეს: დერეფნის მოგების შემდეგ, გიორგი ბეგაძემ ფეხით გადაკიდა ბურთი, რომელიც ლაშა ლომიძემ მოხსნა, რამდენიმე მეტრით წინ წაიწია. რაქის შემდეგ, ლაშა ხმალაძემ ფეხით გააკეთა გრძელი პასი და ოვალი მარცხენა ალმისკენ გადაკიდა, ბურთი მცველისთვის უხერხულად ახტა და ლელოში გიორგი აფციაურმა დაამიწა, რომელიც სათამაშო ეპიზოდს ბოლომდე მიყვა.

გარდასახვა არაზუსტი იყო და აფრიკელებმა 22-ე წუთზე ასევე ფეხით თამაშის შემდეგ, მეორე ლელო გაიტანეს – ბუატანგმა მირიან მოდებაძეს საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო და ლელოში ბურთიანად დაეშვა. რთული პოზიციიდან გარდასახვა ამჯერადაც ზუსტი იყო.

შესვენების შემდეგ ქულები პირველებმა კვლავ სტუმრებმა აიღეს და 48-ე წუთზე გატანილი ჯარიმით 20:5 დაწინაურდნენ.

ამის შემდეგ ბორჯღალოსნებმა ნელ-ნელა თამაში დაალაგეს, ტემპი გაზარდეს და საბოლოოდ მეტოქის დაცვა გატეხეს.

ეს ყველაფერი მოედანზე შალვა სუთიაშვილის შესვლის შემდეგ მოხდა. 67-ე წუთზე კინგსმა საკუთარი 22-დან ცადა ბურთის ხელით წამოღება, მაგრამ დაკარგა და ფორვარდების რამდენიმე მიძალების შემდეგ, გიორგი მელიქიძემ ლელოს ხაზი გადაკვეთა. გარდასახვა არაზუსტი იყო.

73-ე წუთზე სხვაობა 7 ქულით შემცირდა. ბორჯღალოსნებმა დერეფნიდან მოლი დააყენეს, რომელიც ღერძის შეცვლის შემდეგ ლელოში ისედაც შევიდოდა, მაგრამ მცველებმა წესების დარღვევით ჩააქციეს და საჯარიმო ლელოთი დაისაჯნენ – სხვაობა 3 ქულამდე დავიდა.

ამის შემდეგ ბორჯღალოსნებმა კიდევ ერთხელ გაჭრეს ხაზი და ჯარიმის შემდეგ ბურთი აუტში, 5-მეტრიან წყვეტილთან გადაგზავნეს. მოლის შემდეგ ბურთი ისევ ხაზში გაიშალა, მოდებაძეს ლელომდე დაახლოებით 1 მეტრი დააკლდა, თუმცა იქვე გაჩნდა შალვა სუთიაშვილი და რაქიდან ბურთი ლელოში გადადო, ხოლო ლაშა მალაღურაძემ გარდასახვით ანგარიში 24:20 გახადა.

საუზერნ კინგსს ბოლო შეტევა დარჩა, ბურთი მოიპოვა და სახიფათოდაც შეუტია, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა წითელ ზოლში თავის დაცვა მოახერხა და შოტლანდიის ნაკრებს გამარჯვებული ხვდება.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

იოსებ მათიაშვილი, მირიან მოდებაძე, ზურაბ ძნელაძე, მერაბ შარიქაძე, გიორგი აფციაური, ლაშა ხმალაძე, გიორგი ბეგაძე; გურამ გოგიჩაშვილი, ვანო კარკაძე, გიორგი მელიქიძე, ლაშა ლომიძე, გიორგი ნემსაძე, ბექა საღინაძე, გიორგი ცუცქირიძე, ოთარ გიორგაძე.

შეცვლაზე შევიდნენ:

გიორგი ჭყოიძე, კარლენ ასიეშვილი, ლევან ჩილაჩავა, კოტე მიქაუტაძე, გიორგი თხილაიშვილი, შალვა სუთიაშვილი, გელა აფრასიძე, ლაშა მალაღურაძე, ალექსანდრე თოდუა, თამაზ მჭედლიძე, დავით კაჭარავა.

ახალგაზრდული ნაკრები ახალ შესარჩევ ეტაპს იწყებს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 5 და 10 სექტემბერს 2 ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს ლიხტენშტაინისა და აზერბაიჯანის 21-წლამდელების წინააღმდეგ. სწორედ ამ შეხვედრებით იწყებს გია ცეცაძის გუნდი ევროპის ჩემპიონატის ახალ შესარჩევ ციკლს.

ლიხტენშტაინთან პირველი მატჩი გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე გაიმართება, ხოლო აზერბაიჯანს ჩვენი ნაკრები ბაქოში ესტუმრება.

მთავარმა მწვრთნელმა უკვე შეარჩია იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც ევროშესარჩევი შეხვედრებისთვის მოემზადებიან:

მეკარეები: ლუკა გუგეშაშვილი (გრანადა, ესპანეთი), გიორგი მამარდაშვილი (რუსთავი), გიორგი ჩოჩიშვილი (დილა);

მცველები: ნიკა მალი, ლუკა ლაკვეხელიანი (ორივე საბურთალო), ილია ბერიაშვილი (თელავი), თორნიკე ძებნიაური, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (ორივე ლოკომოტივი), ლუკა ლოჩოშვილი (ჟილინა, სლოვაკეთი), დავით კობოური (დინამო თბ), ლაშა უგრეხელიძე (სიონი);

ნახევარმცველები: დავით სამურკასოვი, რევაზ ინჯგია (ორივე ლოკომოტივი), პაატა კიტეიშვილი, ლუკა სილაგაძე (ორივე რუსთავი), ნიკა ნინუა (დინამო თბ), გიორგი კუცია (დილა), გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), გიორგი არაბიძე (ადანასპორი, თურქეთი);

თავდამსხმელები: ბექა ქავთარაძე (რუსთავი), ნუგზარ სპანდერაშვილი (დილა), ირაკლი ბუღრიძე (ბეერსხოტი, ბელგია), ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი).

ლუკა მაისურაძეს მსოფლიოდან ბრინჯაო მოაქვს

ტოკიოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს მეორე მედალი ლუკა მაისურაძემ მოუტანა. ახალგაზრდა ძიუდოისტმა, რომელიც წელს მინსკში გამართული ევროპის თამაშებისა და ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, თავის ყულაბას იმავე სინჯის მედალი ახლა უკვე მსოფლიოზე შემატა.

ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში ლუკა მაისურაძე მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონს, ირანელ საიდ მოლაის დაუპირისპირდა და მეტოქეს შეხვედრით დასრულებამდე 46 წამით ადრე, მეორე ვაზარით სძლია.

ამრიგად, ქართველ ძიუდოისტების ანგარიშზე ტოკიოში მოპოვებული 2 მედალია – ოქრო და ბრინჯაო. შეგახსენებთ, რომ პირველ დღეს, 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი ლუხუმ ჩხვიმიანი გახდა.

დღეს მედლები ვაჟთა შორის 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში გათამაშდება და ტატამზე ბექა ღვინიაშვილი გავა.

შედეგები

27 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ცრვენა ..... ზვეზდა-იანგ ბოიზი 1:1

კრასნოდარი-ოლიმპიაკოსი 1:2

რუსენბორგი-დინამო (ზ)..... 1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

მონპელიე-ლიონი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.რენი	3	3	0	0	5-1	9
2.ლიონი	3	2	0	1	9-1	6
3.პსჟ	3	2	0	1	8-2	6
4.ნიცა	2	2	0	0	4-2	6
5.ანჟე	3	2	0	1	6-7	6
6.ბრესტი	3	1	2	0	3-2	5
7.სტ.ეტიენი	2	1	1	0	3-2	4
8.ტულუზა	3	1	1	1	2-5	4
9.რეიმსი	3	1	1	1	2-1	4
10.ბორდო	3	1	1	1	4-4	4
11.მეცი	3	1	1	1	4-4	4
12.ნანტი	3	1	1	1	3-3	4
13.მონპელიე	3	1	1	1	2-2	4
14.ლილი	2	1	0	1	2-2	3
15.ამიენი	3	1	0	2	3-4	3
16.სტრასბური	3	0	2	1	1-3	2
17.მარსელი	2	0	1	1	0-2	1
18.ნიმი	3	0	1	2	3-7	1
19.მონაკო	3	0	1	2	2-8	1
20.დიჟონი	3	0	0	3	1-5	0

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პირველობა

კაცები

სოკი-კუევასი 4:6,5:7,6:7

პელია-კარენო ბუსტა .. 3:6,6:4,6:7,3:6

ფრიცი-ლოპესი 6:3,4:6,3:6,4:6

ნისიოკა-ჰირონი 3:6,6:4,6:4,6:4

ჰარი-მაიხშაკი 7:6,6:7,6:7,6:1,4:6

ვავრინკა-სინერი 6:3,7:6,4:6,6:3

ბერანკისი-ვესელი . 4:6,7:6,3:6,7:6,6:4

ფედერერი-ნაგალი 4:6,6:1,6:2,6:4

ბუბლიკი-ჰირალდო 2:6,6:0,7:5,3:6,6:4

პოპირინი-დელბონისი 6:1,7:5,7:6

ფრანტანჯელო-სიმონი 7:5,5:7,5:7,5:7

სონეგო-გრანოლერსი 6:3,6:4,6:4

ბერეტინი-გასკე 6:4,6:3,2:6,6:2

კუკუშკინი-ბაუტისტა აგუტი 3:6,6:1,6:4,3:6,6:3

ციციპასი-რუბლიოვი .. 4:6,7:6,6:7,5:7

კლიჟანი-ჩილიჩი 3:6,2:6,6:7

ვერდასკო-კამკე 6:3,3:6,6:1,6:2

სოზა-ტომპსონი 3:6,2:6,4:6

ედმუნდი-ანდუჰარი 6:3,6:7,5:7,7:5,2:6

ისნერი-გარსია ლოპესი 6:3,6:4,6:4

ა.ზვერევი-ალბოტი 6:1,6:3,3:6,4:6,6:2

შტრუფი-რუდი 6:4,6:4,6:2

კრაიანოვიჩი-შტებე 3:6,6:4,4:6,6:7

ცონგა-სანდგრენი .. 6:1,7:6,4:6,6:7,5:7

ფაბიანო-ტმი 6:4,3:6,6:3,6:2

ჩხუნი-ესკობედო 3:6,6:4,6:7,6:4,6:2

იუმბერტი-კოპილი 3:6,7:5,6:7,6:4,1:6

პოსპიშილი-ხაჩანოვი 4:6,7:5,7:5,4:6,6:3

კოკინაკისი-ივაშკა 6:3,7:6,6:7,6:2

შვარცმანი-ჰასე 6:3,7:6,6:0

ქალები

გოლუბიჩი-ჩჟანი 2:6,1:6

ფრექსი-ზიგემუნდი 7:5,3:6,4:6

კენინი-ვანდეეი 7:6,6:3

ჩჟუ-ვანი 6:3,6:4

მაკნელი-ბაჩინსკი 6:4,6:1

ს.უილიამსი-შარაპოვა 6:1,6:1

დოი-კიზი 5:7,0:6

კორნე-პელუგა 6:2,6:3

კრუნიჩი-ოსტაპენკო 3:6,6:7

პეტკოვიჩი-ბუზარნესკუ 6:3,6:4

რისკე-მუგურუზა 2:6,6:1,6:3

ალერტოვა-კვიტოვა 2:6,4:6

მინელა-ბენჩიჩი 3:6,2:6

დი ლორენცო-კუდერმეტოვა ... 7:6,6:2

გერგესი-ვიხლიანცევა 1:6,6:1,7:6

ოსაკა-ბლინკოვა 6:4,6:7,6:2

შარმა-ლინეტი 3:6,4:6

ბადოსა-ბერტენსი 4:6,2:6

ვოლინეცი-ანდრეესკუ 2:6,4:6

კანეპი-მარია 5:7,7:6,6:3

კოლინზი-ჰერცოგი 6:3,4:6,6:4

პარმენტიე-პავლუჩენკოვა 1:6,6:7

კონტვეიტი-ტორმო 6:1,6:1

თაუსენდი-კოზლოვა 3:6,6:3,6:2

ჰალეპი-გიბსი 6:3,3:6,6:2

ტომლიანოვიჩი-ბოუზკოვა 1:6,7:5,6:1

მერტენსი-ტაიჰმანი 6:2,6:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

გზააბნეულ მამაკაცს ექვსი დღე ტყეში თავი მწერების ჭამით გაჰქონდა

ამერიკის იუტას შტატის მცხოვრებმა ადგილობრივ გამოცემასთან საუბარში იმის შესახებ ისაუბრა, თუ როგორ გაიტანა თავი ექვსი დღის განმავლობაში გზააბნეულმა აიდაჰოს და მონტანას შტატების საზღვარზე მდებარე ტყეში.

25 წლის კადენ ლაგა სახელმწიფო ნაკრძალში იმ დროს დაიკარგა, როდესაც ცხენით სეირნობდა. ექსკურსიის დროს ერთ-ერთმა ცხოველმა კოჭლობა დაიწყო. მაშინ მამაკაცმა ინიციატივა გამოიჩინა და გადაწყვიტა დახმარება მოეყვანა. მან შემთხვევით სხვა ბილიკზე გადაუხვია და გზა აებნა.

– რაღაც მომენტში მთაზე აღმოვჩნდი და ვერც კი ვხვდებოდი, თუ სად ვიმყოფებოდი, – იხსენებს მამაკაცი, – გადავწყვიტე, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, აღმოსავლეთით მევლო.

ამ დროს ლაგას თან მხოლოდ ტელეფონი და ცარიელი ბოთლი ჰქონდა. თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ის წყაროს წყალს სვამდა და კენკრას და მწერებს ჭამდა. მისი აღიარებით მწერები უგემური იყო და რაღაცით პოპკორნს მოაგონებდა.

ამერიკელის თქმით, მას დაახლოებით 15 საათი დასჭირდა ცეცხლის დასანთებად. ამისთვის ის ჯოხებს და ქვებს იყენებდა, ხოლო როდესაც ტელეფონი დაუჯდა, ის ნაპერწკლის მიღებას მისი აკუმულატორისა და კამერის მინის დახმარებით ცდილობდა.

მამაკაცის მტკიცებით, ტყეში ერთხელ დათვის ხმა შემოესმა და იძულებული გახდა სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას. ასევე, მისი თქმით, სამაშველო ჯგუფმა, როგორც მინიმუმ, ორჯერ გადაუფრინა თავზე შვეულმფრენით, მაგრამ ტყის სიხშირის გამო ვერ შენიშნეს.

მეექვსე დღეს ლაგამ თავად მოახერხა სამძებრო ბანაკამდე მიღწევა კარგად გაკვალული ბილიკის დახმარებით. ამერიკელი გადატანილის მოგონებებისგან თავის დასაღწევად, თავის ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად დასასვენებლად ჰავაიზე წასვლას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სოფლის ორღობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. მუსიკალური გამის მესამე ბგერა; 5. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 6. ჯავახური პური; 7. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. თანდაყოლილი ფერადი გამონაზარდი ტანზე; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 12. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 13. ბრიტანული ტაქსი; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 18. მეღვინეობის სპეციალისტი; 19. მონასტერი სამაჩაბლოში; 21. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 24. გრძელი ტანისა და მოკლე ფეხების მქონე მონადირე ძაღლის ჯიში.

თარაზულად: 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 3. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 8. ქართველი კომპოზიტორი; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 14. კომბინაცია პოკერში; 15. მდინარე სამეგრელოში; 17. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 20. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ის დაზვერვის ეროვნული ცენტრი; 22. „ფიატის“ მარკის მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი; 23. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 25. თევზის ძვალი; 26. ხის ქოში; 27. ქართული გაზეთი; 28. სკულპტურული ქმნილება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კაფია; 2. სააბი; 3. ვიადუკი; 4. ყორე; 5. ეტნა; 6. ანარქია; 9. ლეგიტიმაცია; 10. არმანიაკი; 11. კართაგენი; 14. დაფნა; 16. შაორი; 18. კვაზარი; 20. მარჩილი; 23. ლელო; 24. იარდი; 25. რომბი; 26. ვიში.

თარაზულად: 7. ვილსდორფი; 8. ნაფტალანი; 12. დუვრი; 13. ბანქო; 15. გრილი; 17. ფიუმინინო; 19. ბრასი; 21. პაიკი; 22. ქნარი; 27. კრაისლერი; 28. ამაშუკელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლუტი; 2. არა; 3. კავასაკი; 4. კუ; 5. საზამთრო; 6. ღელე; 7. შავთელი; 10. ფსოუ; 11. შოტლანდია; 12. ბალაგანი; 13. შუნი; 16. კრეოლი; 18. ჰოკაიდო; 19. გროზნო; 21. თუნგი; 24. ლახტი.

თარაზულად: 1. ლაქტოზა; 3. კოდაკი; 8. საბენა; 9. ტუფი; 14. პოლკა; 15. მუღამი; 17. ლიმა; 20. კვართი; 22. რიონი; 23. რიგელი; 25. ურო; 26. ოქრო; 27. ქადა; 28. ხაბიზგინა.

ახალი თაობა

Akhalitaoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9415

ევრო — 3.2671

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6063

100 რუსული რუბლი — 4.4307

ამინდის პროგნოზი 29 აგვისტო

შვედეთმა „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ოსკარზე წარადგინა

ლევან აკინის ფილმი „და ჩვენ ვიცეკვეთ“ შვედეთმა ოსკარზე წარადგინა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა კანის კინოფესტივალზე გაიმართა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. მასში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა ლევან გელბახიანმა კი ცნობილ მსახიობებს შორის საპატიო ადგილი დაიკავა.

ოდესაში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე ლევან აკინის ნამუშევარმა პრიზი მიიღო, სარაევოს კინოფესტივალზე კი ლევან გელბახიანი მამაკაცის საუკეთესო როლის შემსრულებლად დასახელდა და პრიზი „სარაევოს გული“ გადაეცა.

ქართულ-შვედურ-ფრანგული კოპროდუქცია ახალგაზრდა მოცეკვავე მერაბის ცხოვრების შესახებ გვიყვება, რომელიც რადიკალურად იცვლება, როდესაც მას ამბიციური მეტოქე მამაკაცი შეუყვარდება.

ნანიკო ხაზარაძეს ფსიქიატრთან მკურნალობა დასჭირდა

ტელეწამყვანი ნანიკო ხაზარაძე არ მალავს, რომ მას ფსიქიატრთან საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა.

ეს ამბავი ნანიკომ მას შემდეგ გაახმაურა, რაც პეკინზე ქალმა 3 წლის ბიჭი დანით დაჭრა:

– ჩემი მკურნალობა ფსიქიატრთან დიდი ხანი გაგრძელდა. მთავარია აღიარო, რომ დახმარება გჭირდება და დანარჩენს ექიმი მიხედავს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში ფსიქიატრია პრიორიტეტია. მკურნალობა სირცხვილი არ არის!

31 აგვისტოს „ექვთიმეს“ კალიფორნიული პრემიერა გაიმართება

ქალაქ სანტა კლარაში 31 აგვისტოს ერთ-ერთ გალერეაში ფილმ „ექვთიმეს“ კალიფორნიული პრემიერა შედგება.

ეს ჩვენება ფილმისთვის საიუბილეოა და მას უკვე 90-ედ აჩვენებენ.

„ექვთიმე“ რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ გადაიღო და ის ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს.

ფილმში მთავარ როლს რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცმა გადაწყვიტა, ქალებისთვის არ ეწყენინებინა და ორივეზე იქორწინა

ინდონეზიის პროვინცია კალიმანტანში მამაკაცი, რომელიც ერთდროულად ორ ქალს ხვდებოდა, ორივეზე დაქორწინდა, რადგან არ სურდა, რომელიმე გაეწყენინებინა.

სიძის თქმით, მას არ სურდა, რომ რომელიმეს გული დასწყვეტოდა და ამიტომ გადაწყვიტა, ორივე ქალი ცოლად მოეყვანა.

ადგილობრივი ტრადიციით, მამაკაცს საპატარძლოების გამოსასყიდის გადახდა მოუხდა. მის მიერ გადახდილმა საერთო თანხამ 10 ათასი ინდონეზიური რუპია შეადგინა.

ინდონეზიაში მრავალცოლიანობა ნებადართულია. ამ მხრივ მხოლოდ ერთი შეზღუდვა არსებობს – მეორე ცოლის მოყვანის შემთხვევაში მამაკაცმა ნებართვა პირველი ცოლისგან უნდა აიღოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

29 აგვისტოსთვის

ვერძი – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **კურო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანკალი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალი სამსახურში რეკავს და თანამშრომელს ეუბნება:

– დღეს სამსახურში ვერ მოვალ, ჩემმა ქმარმა საკრედიტო ბარათი დაკარგა და მთელ ბინაში ეძებს...

– კი მაგრამ, შენ რა შუაში ხარ?

– მასზე ვდგავარ!!!

●●●

პარლამენტის ერთი დეპუტატი მეორეს ეკითხება:

– აბა თუ მეტყვი: ფეხით მოსიარულეები საგზაო მოძრაობის მონაწილეები არიან?

– რა თქმა უნდა.

– მერე ტრანსპორტის გადასახადს რატომ არ იხდიან?

– ჩვენი ფრაქცია, მაგ საკითხზე უკვე მუშაობს...

●●●

ახალგაზრდა შეყვარებულის მამას ეუბნება:

– არ ვეწევი, არ ვსვამ, კარგი გამომუშავება მაქვს და თქვენი ქალიშვილის გარდა, ჩემთვის სხვა არც ერთი გოგონა არ არსებობს.

– ყმაწვილო, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ თქვენ ჩემს ქალიშვილზე ვერ იქორწინოთ!

– კი მაგრამ, რატომ?

– ეგღა მაკლია, მერე ცოლმა ტვინი შემიჭამოს იმის ჩიჩინით, რომ მაგალითი თქვენგან ავიღო!

●●●

სამსახურიდან დაბრუნებული ქმარი ცოლს ეკითხება:

– საჭმელი გვაქვს რამე?

– ყველაფერი, რასაც მაცივარში იპოვი.

კაცმა მაცივარში შეიხედა და ცოლს გასძახა:

– ჩემო უმშვენიერესო დიასახლისო... ეს ყინული შენ დაამზადე?

●●●

ყოფილმა ოფიციანტმა პოლიციაში დაიწყო მუშაობა. ნაცნობი ეკითხება:

– აბა, როგორ მიდის საქმე? როგორ შეეგუე ახალ სამსახურს?

– მართალია, აქ შემოსავალი ნაკლებია, მაგრამ მე ის უფრო მომწონს, რომ კლიენტი ყოველთვის, რომ მტყუანია...

●●●

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– თუ შეიძლება, ის წითელი უკანალი მომაწოდეთ.

– უკაცრავად, მაგრამ ეს უკანალი კი არა, გულია!

– იცით რა, 20 წელია, კარდიოქირურგად ვმუშაობ. ასე რომ, ის წითელი უკანალი მომაწოდეთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577 46 06 59 ან 595 18 37 09

მესი სამი კვირა ვერ ითამაშებს

ბარსელონის არგენტინელი სუპერვარსკვლავი ლიონელ მესი კიდევ სამი კვირა იუქმებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ლეომ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა გაიმიზეზა და ისევ ექიმების ჩარევა გახდა საჭირო.

სექტემბრის დასაწყისში სანაკრებო პაუზა იქნება და მესი ბარსელონის მხოლოდ რამდენიმე შეხვედრას გამოტოვებს. მესის წლევანდელ სეზონში ბარსელონის შემადგენლობაში ოფიციალური მატჩი ჯერ არ ჩაუტარებია და მან ესპანეთის ჩემპიონატის ორივე შეხვედრა გამოტოვა.

ზლატანი ევროპაში დაბრუნებას არ გამორიცხავს

ლოს ანჯელეს გელექსის ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ევროპაში დაბრუნებას არ გამორიცხავს. განსაკუთრებით ეს მანჩესტერ იუნაიტედს ეხება.

ზლატანის თქმით, ის ხშირად უყურებს იუნაიტედის თამაშებს და ფიქრობს, რომ მას კვლავ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში:

– ლოს ანჯელესში ბედნიერი ვარ, მაგრამ, თუ საჭირო გახდება, მზად ვარ, დავბრუნდე მანჩესტერ იუნაიტედში, რადგან ისევ შემიძლია, მას დავეხმარო. კრისტალ პალასთან თამაშს ვუყურე და, პენალტი რომ გაეტანათ, სხვა შედეგი დაფიქსირდებოდა. იმედი მაქვს, მომავალში მანჩესტერი შეცდომებს აღარ გაიმეორებს.

ბარსელონა და პსჟ ვერ თანხმდებიან

ბარსელონამ და პსჟ-მ ნეიმარის ტრანსფერზე ჯერჯერობით შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ბარსელონა პსჟ-ს 170 მილიონს სთავაზობს, ოღონდ თანხას 1 წლის განმავლობაში გადაიხდის. პსჟ-ს ეს ვარიანტი არ აკმაყოფილებს და მას ივან რაკიტიჩი, უსმან დემბელე და 100 მილიონი სურს, რომელიც ბარსელონამ რამდენიმე დღეში უნდა გადაიხადოს.

ბარსელონის სპორტულმა დირექტორმა ერიკ აბიდალმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები გრძელდება და ისინი, შესაძლოა, წარმატებით დასრულდეს.

ზიდანი კიდევ ერთ ტრანსფერს აპირებს

მადრიდის რეალის მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი ფიქრობს, რომ მის გუნდს კიდევ ერთი ტრანსფერი სჭირდება და ფრანგმა სპეციალისტმა რეალის ხელმძღვანელობას ამ საკითხზე უკვე მიმართა.

ზიდანი ხელმძღვანელობის პასიურობის გამო განაწყენებულია და, შესაძლოა, მას ფლორენტინო პერესთან ურთიერთობა დაეძაბოს. ზიდანს ყველაზე მეტად პოლ პოგბას ყიდვა სურს, მაგრამ მანჩესტერ იუნაიტედი მის გაშვებას არ აპირებს.

ალექსის სანჩესი მილანში ჩაფრინდა

ალექსის სანჩესი უკვე მილანში იმყოფება და მალე ინტერთან კონტრაქტს გააფორმებს. ჯერჯერობით უცნობია, სანჩესი იჯარის წესით გადავა თუ ინტერი მას ბოლომდე გამოისყიდის.

სანჩესმა პირველი კომენტარიც გააკეთა და თქვა, რომ ბედნიერია ინტერში გადასვლით, სადაც მას თავისი მეგობარი რომელუ ლუკაკუ ელოდება.

შეგახსენებთ, რომ ეს ორი ფორვარდი სულ ცოტა ხნის წინ მანჩესტერ იუნაიტედის ღირსებას იცავდა.



კიმ კარდაშიანი ისევ ფოტოშოპით სარგებლობაში ამხილეს

ამერიკელი ტელევარსკვლავი და მეწარმე კვლავ ფოტოშოპის გამოყენებაში ამხილეს იმ ფოტოსურათზე, რომელიც მისი დასვენების მომენტს ასახავს. აღნიშნული ფოტოსურათი ინსტაგრამში მის გვერდზე კვირას გამოქვეყნდა.

სურათზე 38 წლის კარდაშიანი ვერცხლისფერ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი თავის გოგონასთან ერთად პოზირებს. მისი ხელმომწერების ყურადღება მცირე ხარვეზებმა მიიპყრო. ფოტოსურათზე საკუთარი თეძოების უფრო მსხვილად წარმოჩენისთვის კარდაშიანმა შემთხვევით ჰორიზონტის ხაზი გაამრუდა, ხოლო ფეხს არაბუნებრივი ფორმა მისცა.

– თქვენც შეამჩნიეთ ეს სულელური ფოტოშოპი უკანასკნელ ფოტოზე? – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა საკუთარ კომენტარში.

– ნეტა მარტო მე მეჩვენება, რომ მის ფეხს რაღაც უცნაურობა სჭირს? – აღნიშნა მეორემ.

– უბრალოდ, ჰორიზონტს დააკვირდით მის ბოლო ფოტოზე, – დაწერა მესამემ.

ამ ყოველივეს მიუხედავად, კიმ კარდაშიანის ფოტოსურათმა 3,5 მილიონი მოწონება მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. გამკილავი შინაარსის სახელდახელოდ თქმული ლექსი; 2. რძის პროდუქტი; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 5. რეზინის სპორტული ფეხსაცმელი; 6. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 9. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. დუქნების, სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 11. შემინული აივანი; 14. კოსმეტიკური ფხვნილი; 16. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 18. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი; 20. ინდოეთის ოკეანისპირა კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 23. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 24. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 25. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 26. მაღალყელიანი რეზინის კალოში.

თარაზულად: 7. ადამიანის ყოფიერების ზოგადი კანონების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 8. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯებით; 13. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 15. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 17. დაბანდებული კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 21. მარადმწვანე ტროპიკული ხვიარა მცენარე; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 27. ვერდის ოპერა; 28. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს შენობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა